



საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის
სახელობის ქართული უნივერსიტეტი
კუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტი



სერბო ვარდოსანიძე, ვახტანგ ბურული, კობა ხარაძე
ლევან ჯიქია, მაკა კვარაცხელია

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ისტორია (1917-1957)

გამოკვლევა
დოკუმენტები და მასალები

თბილისი 2015



საქართველოს საპატრიარქოს წმიდა ანდრია პირველწოდებულის სახელობის

ქართული უნივერსიტეტი

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა და სამართლის ფაკულტეტი

სერგო ვარდოსანიძე, ვახტანგ გურული, კობა ხარაძე
ლევან ჯიქია, მაკა კვარაცხელია

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ისტორია (1917-1957)

გამოკვლევა.

დოკუმენტები და მასალები

გამომცემლობა „ქართული უნივერსიტეტი“

თბილისი 2015

ნაშრომი წარმოდგენას გვიქმნის საქართველოს სახელმწიფო საზღვრების ფორმირების პროცესზე 1917-1957 წლებში. დოკუმენტების ნაწილი სხვადასხვა გამოცემებში იყო გამოქვეყნებული, უმეტესი ნაწილი კი პირველად ქვეყნდება.

რედაქტორი აკადემიკოსი რინ მებრეველი

რეცენზენტები: ისტორიის დოქტორი გვანცა ბურდული

ისტორიის დოქტორი გელა ქისტაური

ISBN 978-9941-9450-0-7

© ს. ვარდოსანიძე, ვ. გურული, კ. ხარაძე, ლ. ჯიქია, მ. კვარაცხელია

დაბეჭდილია საქართველოს საპატრიარქოს სტამბაში შპს „მეგობრობა“

11 34. 997

წინასიტყვა

საქართველოს სახელმწიფო საზღვრის ისტორია დიდი და საინტერესო ისტორიაა. საქართველოს სამეფო-სამთავროებად დაშლის შემდეგ, XV-XVIII საუკუნეებში, ზუსტად დადგენილი საზღვარი არც სამეფო-სამთავროებს შორის არსებობდა და არც მეზობელ სახელმწიფოებთან. XIX საუკუნის დამდეგს ქართული სამეფო-სამთავროები (ქართლ-კახეთის სამეფო, იმერეთის სამეფო, სამეგრელოს სამთავრო, გურიის სამთავრო, აფხაზეთის სამთავრო) რუსეთის იმპერიამ დაიპყრო.

რუსეთს დაუპყრობელი დარჩა საქართველოს ისტორიული ტერიტორიის ის ნაწილი, რომელიც დიდი ხნის წინ ირანმა და ოსმალეთმა მიიტაცეს, კერძოდ: ისტორიული პერეთი (ჭარ-ბელაქანი), სამცხე-საათაბაგო და აჭარა. ამ ტერიტორიების დაპყრობა რუსეთმა დაიწყო 1804-1813, 1826-1828 წლების რუსეთ-ირანისა და 1806-1812, 1828-1829 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომებით, ხოლო დაასრულა 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომით. სწორედ ამ ომების შედეგად დადებული საზავო ხელშეკრულებით, კერძოდ, 1812 წლის ბუქარესტის ზავით, 1813 წლის გულისტანის ზავით, 1828 წლის თურქმანჩაის ზავით, 1829 წლის ანდრიანოპოლის ზავით დადგინდა რუსეთის სახელმწიფო საზღვარი ირანთან (გულისტანისა და თურქმანჩაის ზავებით) და ოსმალეთთან (ბუქარესტისა და ადრიანოპოლის ზავებით). რუსეთ-ოსმალეთის საზღვარი მნიშვნელოვნად შეიცვალა 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგად. ომში გამარჯვებულმა რუსეთმა სანსტეფანოს ზავითა (1878 წ.) და ბერლინის კონგრესის (1878 წ.) გადაწყვეტილებით ოსმალეთისაგან აჭარა, ართვინი და ტაო-კლარჯეთის მნიშვნელოვანი ნაწილი მიიღო. რუსეთის საზღვარი ოსმალეთთან აღარ შეცვლილა 1918 წლამდე. უცვლელი დარჩა საზღვარი ირანთანაც. პირველი მსოფლიო ომის ბოლო ეტაპზე, 1918 წლის 3 მარტის ბრესტ-ლიტოვსკის ზავით, გადაისახვა რუსეთ-ოსმალეთის საზღვარი სამხრეთ კავკასიაში, თუმცა საკითხი საბოლოოდ არ გარკვეულა. 1918 წლის 4 ივნისს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისა და ოსმალეთის ბათუმის ხელშეკრულებით ორ ქვეყანას შორის სახელმწიფო საზღვარი მდინარე ჩოლოქზე დადგინდა, რომელიც ძალაში დარჩა 1918 წლის ოქტომბრამდე (მუდროსის ზავამდე). 1921 წლის 16 მარტს საბჭოთა რუსეთ-ოსმალეთის მოსკოვის ხელშეკრულებით მყარად დადგინდა ოსმალეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვარი, ანუ მომავალი საბჭოთა რუსეთ (საბჭოთა კავშირ)-ოსმალეთის (თურქეთის) სახელმწიფო საზღვარი. საქართველოს ისტორიული ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი (ტაო-კლარჯეთი) ოსმალეთის შემადგენლობაში აღმოჩნდა. ეს საზღვარი დაადასტურა 1921 წლის 13 ოქტომბრის ყარსის ხელშეკრულებამ. საბჭოთა კავშირ-თურქეთის სახელმწიფო საზღვრის გადასინჯვის მცდელობა იყო 1945 წელს, მაგრამ უშედეგოდ - თურქეთმა საქართველოს ისტორიული ტერიტორია (ტაო-კლარჯეთი) არ დათმო. საბოლოოდ საბჭოთა კავშირ-თურქეთის სახელმწიფო საზღვარი 1945-1947 წლებში დადგინდა. ეს საზღვარი ძალაში დარჩა საბჭოთა კავშირის დაშლამდე (1991 წ.). დღეს საბჭოთა კავშირ-თურქეთის საზღვრის ერთი მონაკვეთი, რომელიც იწყება სარფთან, საქართველო-თურქეთის სახელმწიფო საზღვარია.

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის (1918 წლის 26 მაისი) შემდეგ საქართველო-რუსეთის 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულებით განისაზღვრა საქართველო-რუსეთის სახელმწიფო საზღვარი, რომელიც მდინარე ფსოუზე იწყებოდა და შემდეგ გახდებოდა თბილისისა და ქუთაისის ყოფილი გუბერნიების ჩრდილოეთ საზღვარს (ძირითადად კავკასიონის მთავარ ქედს). ეს საზღვარი ძალაში დარჩა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დაპყრობისა (1921 წლის თებერვალ-მარტი) და



საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად გამოცხადების შემდეგაც, საბჭოთა რუსეთსა და საბჭოთა საქართველოს შორის შეიცვალა 1943-1944 წლებში, როდესაც საქართველოს გადმოეცა რუსეთის ტერიტორიის ნაწილი – სტავეროპოლის მხარის ქლუხორის რაიონი და ყოფილი ჩენჩეთ-ინგუშეთის საბჭოთა სოციალისტური ავტონომიური რესპუბლიკისა და ჩრდილოეთ ოსეთის საბჭოთა სოციალისტური ავტონომიური რესპუბლიკის სამხრეთ რაიონები. ეს ტერიტორია რუსეთმა უკან დაიბრუნა 1957 წელს.

საქართველო-სომხეთისა და საქართველო-აზერბაიჯანის სახელმწიფო საზღვრების დადგენა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობის წლებში (1918-1921 წწ.) ვერ მოხერხდა. 1921 წლიდან საბჭოთა რუსეთის, ხოლო შემდეგ საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით საქართველოს ისტორიული ტერიტორიის ნაწილი საბჭოთა აზერბაიჯანსა და საბჭოთა სომხეთს გადაეცა, კერძოდ, აზერბაიჯანის შემადგენლობაში აღმოჩნდა ისტორიული ჰერეთი (ჭარ-ბელაქანი) იერიხპირეთისა და დაეთ გარეჯის სამონასტრო კომპლექსის ნაწილი. სომხეთს გადაეცა ქვემო ქართლის მნიშვნელოვანი ნაწილი. 1921-1922 წლებში და მომდევნო წლებში დადგენილი საქართველოს სახელმწიფო საზღვარი სომხეთთან და აზერბაიჯანთან ძალაში დარჩა საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის შემდეგაც.

9 ოქტომბერი, 2015 წელი

**თავი პირველი. საქართველო-ოსმალეთის (თურქეთის)
სახელმწიფო საზღვარი
(1918-1954)**

სამხრეთ კავკასიაში რუსეთის იმპერიასა და ოსმალეთს შორის ბერლინის ტრაქტატით (1878 წ.) დადგენილმა საზღვარმა 1918 წლის მარტამდე იარსება. 1918 წლის მაისში საქართველომ, სომხეთმა და აზერბაიჯანმა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა მოიპოვეს და ამდენად საბჭოთა რუსეთს ოსმალეთთან სამხრეთ კავკასიაში საზღვარი აღარ ჰქონდა. 1920 წლის აპრილში საბჭოთა რუსეთმა აზერბაიჯანი დაიპყრო, 1920 წლის ნოემბერში – სომხეთი, 1921 წლის თებერვალ-მარტში – საქართველო. საბჭოთა რუსეთის მიერ აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს დაპყრობა ოსმალეთის თანხმობით მოხდა. დღის წესრიგში დადგა სამხრეთ კავკასიაში რუსეთ-ოსმალეთის სახელმწიფო საზღვრის დადგენა. ამ საზღვრის ნაწილს საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე უნდა გაეკვლო.

1921 წლის 16 მარტს მოსკოვში ხელმოწერილ იქნა საბჭოთა რუსეთ-ოსმალეთის ხელშეკრულება. ამ ხელშეკრულებით დადგინდა ოსმალეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვარი.

ხელშეკრულების პირველი მუხლის მეხამე აბზაცში აღნიშნული იყო, რომ ოსმალეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვარი იწყებოდა შავი ზღვის სანაპიროზე მდებარე სოფელ სარფთან, შემდეგ მიუყვებოდა ქედისმთას, შავშეთისა და კანნი-დაღის მთების წყალგამყოფს, არდაგანისა (არტაანისა) და ყარსის სანჯაყების ჩრდილოეთ ადმინისტრაციულ საზღვარს, მდინარეების არპაჩაისა და არაქსის ტალღებს.¹ ეს კი იმას ნიშნავდა, რომ საბჭოთა რუსეთმა საქართველოს დაპყრობის სანაცვლოდ ოსმალეთს უკანვე დაუბრუნა ბერლინის ტრაქტატით (1878 წ.) მიღებული საქართველოს ისტორიული ტერიტორია: ართვინის ოკრუგი (ართვინი, არტანუჯი), არტაანის ოკრუგი (არტაანი, დიღვირი, ფოცხოვი, ჩილდირი, კოლა, ტაოსკარი), ყარსის ოკრუგი (ყარსი).

ხელშეკრულების დანართი, უფრო ზუსტად „დანართი I (ა)“ ხელშეკრულების პირველი მუხლიდან გამომდინარე ზედმიწევნით ზუსტად განსაზღვრავდა საბჭოთა რუსეთ-ოსმალეთის სახელმწიფო საზღვრის ხაზს სამხრეთ კავკასიაში და მათ შორის საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე.²



1921 წლის მარტისათვის საქართველო, აზერბაიჯანი და სომხეთი რუსეთის მიერ იყო ოკუპირებული, თუმცა ფორმალური თვალსაზრისით სამივე ქვეყანა დამოუკიდებელ, სუვერენულ სახელმწიფოს წარმოადგენდა. ჯერ-ჯერობით არც ამიერკავკასიის ფედერაცია და არც საბჭოთა კავშირი შექმნილი არ იყო, მაგრამ არსებობდა გეგმა ახალი საბჭოთა იმპერიის შექმნისა. იმხანად გაურკვეველი იყო ახალ საბჭოთა იმპერიაში რა ფორმით შევიდოდნენ საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი. ასეთ ვითარებაში რუსეთმა გადაწყვიტა თავისი პოზიციების განმტკიცება სამხრეთ კავკასიაში და თავის მთავარ კონკურენტთან, ოსმალეთთან, ყველა საკითხის მოგვარება. 1921 წლის 23 სექტემბერს

¹ Документы внешней политики СССР. Том 3. Москва, 1959, стр. 598.
² Документы внешней политики СССР. Том 3. Москва, 1959, стр. 602-603; ვახტანგ გურული. საქართველო და გარე სამყარო. თბილისი, 2011, გვ. 101.

ქალაქ ყარსში დაიწყო ოსმალეთის, საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის მოლაპარაკება. ყარსის კონფერენციაში სრულფუნქციანი მხარის სახით მონაწილეობა საბჭოთა რუსეთი. ოფიციალურ რუსულ გამოცემებში 1921 წლის 13 ოქტომბერს ყარსში დადებული ხელშეკრულება ასეა დასათარგმნებული: „Договор о дружбе между Армянской ССР, Азербайджанской ССР и Грузинской ССР, с одной стороны, и Турцией — с другой, заключенный при участии РСФСР в Карсе“.³ ხელშეკრულების პრეამბულაში აღნიშნულია, რომ სომხეთმა, აზერბაიჯანმა, საქართველომ და თურქეთმა „решили приступить к переговорам при участии Российской Социалистической Федеративной Советской Республики“. საქართველოს მხრიდან ყარსის ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს სამხედრო და საზღვაო საქმეთა სახალხო კომისარმა შალვა ელიაშვილმა, საგარეო საქმეთა და ფინანსთა სახალხო კომისარმა ალექსანდრე სვანიძემ, ხოლო საბჭოთა რუსეთის მხრიდან — იაკობ განცეკი (ფიურსტენბერგმა), რომელიც იმხანად საბჭოთა რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი იყო. ოსმალეთის მხრიდან ხელშეკრულებას ხელი მოაწერეს კიაზიმ კარაბეკერ-ფაშამ, ველიბეიმ, მუხტარ-ბეიმ, მემდუხ შეეკეთ-ბეიმ; სომხეთის მხრიდან — ასკანაზ მრავიანი, პოლუს მაკინზიანი; აზერბაიჯანის მხრიდან — ბეხბუღ შახტახტინსკიმ.

ყარსში დაწყებულ მოლაპარაკებას იგივე პრინციპები დაედო საფუძვლად, რაც რუსეთ-ოსმალეთის მოსკოვის მოლაპარაკებას — უცვლელი დარჩა ოსმალეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვარი.

ყარსის ხელშეკრულების პირველი მუხლი ძალადაკარგულად აცხადებდა ყველა იმ ხელშეკრულებას, რომელიც ამიერკავკასიას (სამხრეთ კავკასიას) ეხებოდა. ეს არ ეხებოდა რუსეთ-ოსმალეთის 1921 წლის 16 მარტის ხელშეკრულებას. მეორე მუხლში კი აღნიშნული იყო, რომ საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს არ უნდა ეცნოთ არც ერთი ხელშეკრულება, რომელიც ეხებოდა ოსმალეთს, მაგრამ არ სცნეს ოსმალეთის მთავრობამ და ოსმალეთის დიდმა ეროვნულმა კრებამ. თავის მხრივ, ოსმალეთი ვადღებულებას იღებდა, არ ეცნო არც ერთი საერთაშორისო აქტი, თუ მას არ ცნობდა საქართველო, სომხეთი და აზერბაიჯანი.

ყარსის ხელშეკრულების მეოთხე მუხლით დადგინდა ოსმალეთის ჩრდილო-აღმოსავლეთი საზღვარი. კერძოდ, ხელშეკრულებაში აღნიშნულია, რომ ეს საზღვარი „начинается у деревни Сарп, расположенной на Черном море, проходит через гору Хедис-мта, линию водораздела горы Шавшет — гору Канны-даг; она следует затем по старым северным административным границам Ардаганского и Каресского санджаков...“⁴

ყარსის ხელშეკრულების მეექვსე მუხლი ეხებოდა აჭარას. კერძოდ, ეს მუხლი ასე იყო ჩამოყალიბებული:

„Турция соглашается уступить Грузии сюзеренитет над городом и портом Батуми и территорией, лежащей к северу от границы, указанной в ст. 4 настоящего Договора и составляющей часть Батумского округа, при условии, что:

1) население местностей, указанных в настоящей статье будет пользоваться широкой местной автономией в административном отношении, обеспечивающей каждой общине ее культурные и религиозные права, и население будет иметь возможность установить в указанных местностях земельный закон, соответствующий его пожеланиям;

2) Турции будет обеспечен свободный транзит всяких товаров, отправляемых в Турцию или из нее, через Батумский порт, беспрепятственно, без учинения каких-либо задержек и без обложения их каким бы то ни было сбором, с предоставлением Турции права пользоваться Батумским портом без взимания за то специальных сборов.

Для прavedения в жизнь этой статьи будет немедленно после подписания настоящего

³ Документы внешней политики СССР. Том 4. Москва, 1960, стр. 420.

⁴ Документы внешней политики СССР. Том 4. Москва, 1960, стр. 422.



Договора образована Комиссия из представителей заинтересованных сторон“.⁵

ხელშეკრულების მეშვიდე მუხლში აღნიშნული იყო, რომ მხარეები შეთანხმდნენ „облегчить жителям пограничной зоны переход границы, при условии соблюдения таможенных, полицейских и санитарных правил, которые будут установлены по этому поводу Смешанной Комиссией“.⁶

როგორც ვხედავთ, ყარსის ხელშეკრულებამ თითქმის უცვლელად გაიმორა რუსეთ-ოსმალეთის 1921 წლის 16 მარტის მოსკოვის ხელშეკრულების პირველი და მეორე მუხლები.

ყარსის ხელშეკრულების ოცი მუხლიდან ექვი მუხლი ძალაში შევიდა ხელმოწერის დროიდან (1921 წლის 13 ოქტომბრიდან), მათ შორის იყო მეექვსე მუხლი, რომელიც აჭარას ეხებოდა. რაც შეეხება ხელშეკრულების დანარჩენ მუხლებს, ისინი ძალაში შევიდოდნენ რატიფიკაციის შემდეგ. ხელშეკრულების მეოცე მუხლი ხელისმომწერ მხარეებს ავადღებულებდა, რაც შეიძლება მოკლე დროში გაეცვალებათ სარატიფიკაციო სივლეები.

ყარსის ხელშეკრულებას არ ჰქონია საიდუმლო მუხლები. ხელშეკრულებას დაერთო სამი დამატება, რომელთაგან არც ერთი საიდუმლო არ ყოფილა და სამივე მრავალჯერ იქნა გამოქვეყნებული. პირველ დამატებაში დაწვრილებით არის აღწერილი ოსმალეთის ჩრდილო-აღმოსავლეთ საზღვარი, მეორე დამატებაში აღწერილი იყო ოსმალეთის საზღვარი არპაჩაის ზონასა და მდინარე არაქსის ზონაში. მესამე დამატება აღგენდა ნახჭევნის ავტონომიის საზღვრებს. ყარსის ხელშეკრულების სამივე დამატებას ხუთივე ქვეყნის წარმომადგენლებმა ცალ-ცალკე მოაწერეს ხელი.

ყარსის ხელშეკრულება ხუთ ვეგზემლარად – ქართულ, რუსულ, თურქულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე გაფორმდა. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განსაზღვრული არ ყოფილა.⁷

გერმანია მეორე მსოფლიო ომში მარცხდებოდა. საბჭოთა კავშირი, დიდი ბრიტანეთი და ამერიკის შეერთებული შტატები ემზადებოდნენ გერმანიის დამარცხების შემდეგ ევროპასა და აზიაში სახელმწიფოთა შორის ახალი საზღვრების დადგენისათვის.

გერმანიის გარდა მოკავშირეები კიდევ რამდენიმე ქვეყნის საზღვრების გადასინჯვას აპირებდნენ. საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობის აზრით ამ სახელმწიფოთა შორის უნდა ყოფილიყო თურქეთიც. შექმნილ სამხედრო-პოლიტიკურ ვითარებაში 1921 წელს საბჭოთა რუსეთი იძულებული გახდა ოსმალეთის (თურქეთის) მიმართ გარკვეულ ტერიტორიულ დათმობებზე წასულიყო. 1921 წლის 16 მარტის საბჭოთა რუსეთ-ოსმალეთის მოსკოვის ხელშეკრულებითა და 1921 წლის 13 ოქტომბრის რუსეთ-ოსმალეთ-საქართველო-სომხეთ-აზერბაიჯანის ყარსის ხელშეკრულებით საბჭოთა რუსეთმა ოსმალეთის ტერიტორიად აღიარა საქართველოს ისტორიული ტერიტორიის ნაწილი – ტაო-კლარჯეთი და ლაზეთი.⁸ შემდგომ წლებში, ისევ შექმნილი სამხედრო-პოლიტიკური ვითარებიდან გამომდინარე, საბჭოთა კავშირის პოლიტიკურ ხელმძღვანელობას 1921 წელს დადგენილი საზღვრების გადასინჯვის საკითხი აღარ დაუყენებია. 1921 წლის ყარსის

⁵ Документы внешней политики СССР. Том 4. Москва, 1960, стр. 423.

⁶ Документы внешней политики СССР. Том 4. Москва, 1960, стр. 423.

⁷ ვახტანგ გურული. საქართველო და გარე სამყარო. თბილისი, 2011, გვ. 114; ვახტანგ გურული. საქართველო-რუსეთის ურთიერთობა (1483-1921). თბილისი, 2011, გვ. 116-119.

⁸ დაწვრილებით იხ.: ვახტანგ გურული. საქართველო და გარე სამყარო. თბილისი, 2011, გვ. 100-116; ვახტანგ გურული. საქართველო-რუსეთის ურთიერთობა (1483-1921). თბილისი, 2011, გვ. 113-119.

ხელშეკრულებით დადგენილი საბჭოთა რუსეთ (საბჭოთა კავშირ)-ოსმალეთის (თურქეთის) სახელმწიფო საზღვარი უცვლელად დატოვა 1925 წლის 17 დეკემბრის საბჭოთა-კავშირ-თურქეთის პარიზის ხელშეკრულებამ.⁹ 1935 წელს მხარეებმა ხელშეკრულება ათი წლით გააგრძელეს.¹⁰

1941-1945 წლების საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის დაწყების წინ, 1941 წლის 24 მარტს, საბჭოთა კავშირმა ვალდებულება აიღო დაეცვა თურქეთი იმ შემთხვევაში, თუ ამ უკანასკნელს რომელიმე ქვეყანა დაესხმოდა თავს. ეს იყო პრევენციული ღონისძიება გერმანია-თურქეთის სამხედრო-პოლიტიკური კავშირის ჩაშლის მიზნით. საბჭოთა კავშირის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ მიზანს ვერ მიაღწია. საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე, 1941 წლის 18 ივნისს, დაიღო გერმანია-თურქეთის ხელშეკრულება მეგობრობისა და თავდაუსხმელობის შესახებ. საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის დაწყების შემდეგ გერმანია-თურქეთის დაახლოება კვლავ გრძელდებოდა. 1942 წლის 26 აგვისტოს თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა თურქეთში გერმანიის ელჩთან ფონ პაპენთან საუბრისას განაცხადა: „...Турция, как прежде, так и теперь, самым решительным образом заинтересована в возможно более полном поражении большевистской России“.¹¹ ცხადია, მას შემდეგ რაც მეორე მსოფლიო ომში გერმანია მარცხს მარცხზე განიცდიდა თურქეთის დამოკიდებულება გერმანიის მიმართ იცვლებოდა. 1945 წლის 23 თებერვალს თურქეთმა ომი გამოუცხადა გერმანიას. ეს იყო ფორმალური აქტი და მას პრაქტიკული შედეგები არ მოჰყოლია. ოსებ სტალინისათვის ეს სულაც არ იყო საკმარისი. თურქეთს პასუხი უნდა ეყო პროგერმანული ორიენტაციისათვის. 1945 წლის 19 მარტს, ხელშეკრულების ვადის გასვლამდე ექვსი თვით ადრე, საბჭოთა კავშირმა 1925 წლის 17 დეკემბერს თურქეთთან დადებული ხელშეკრულება გააუქმა. საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის საინფორმაციო ბიუროს განცხადებაში აღნიშნული იყო:

„19 марта (1945 г. – Авт.) Народный Комиссар Иностранных Дел СССР В. М. Молотов, в связи с приближением окончания срока действия советско-турецкого договора о дружбе и нейтралитете, заключённого 17 декабря 1925 г., сделал турецкому послу г-ну Сарперу от имени Советского Правительства заявление для передачи Правительству Турецкой Республики.

В этом заявлении указывается, что Советское Правительство, признавая ценность советско-турецкого договора, заключённого 17 декабря 1925 года, в деле поддержания дружественных отношений между Советским Союзом и Турцией, тем не менее считает необходимым констатировать, что, вследствие глубоких изменений, происшедших особенно в течение второй мировой войны, этот договор не соответствует больше новой обстановке и нуждается в серьёзном улучшении.

Ввиду изложенного, Советское Правительство заявило Правительству Турецкой Республики о своём желании денонсировать названный выше договор со всеми относящимися к нему приложениями в соответствии с положениями протокола от 7 ноября 1935 года, предусматривающими порядок его денонсации.

Турецкий посол г-н Сарпер ответил, что заявление В. М. Молотова он немедленно передаст Турецкому Правительству“.¹²

ვიანესლავ მოლოტოვის განცხადებას 1945 წლის 4 აპრილს უპასუხა თურქეთის მთავრობამ. დოკუმენტში აღნიშნული იყო:

„Анатолийское агентство передаёт, что в ответ на денонсацию Советским Союзом турецко-советского договора от 17 декабря 1925 года турецкое правительство „довело до сведения Советского

⁹ Документы Внешней Политики СССР. Том 8. Москва, 1963, стр. 739-741.

¹⁰ <http://www.obraforum.ru/lib/book3/section1.htm>.

¹¹ Документы Министерства иностранных дел Германии. Выпуск II. Германская политика в Турции (1941-1943 гг.). Москва, 1946, стр. 92.

¹² Внешняя политика Советского Союза в период Отечественной Войны. Документы и материалы. Том. III. Москва, 1947, стр. 146.



правительства в форме декларации, врученной министром иностранных дел Хасан Сака 4 апреля 1945 года советскому послу в Турции Виноградову, о том, что турецкое правительство всегда желало поддерживать и укреплять отношения искренней дружбы и добрососедства, связывающие с давних пор Турцию и СССР, что оно желает подчеркнуть, какое значение оно придавало договору от 17 декабря 1925 года, оказавшему значительные услуги делу турецко-советской дружбы, и что оно приняло во внимание желание Советского Правительства денонсировать этот договор. В соответствии с предложением Советского Правительства заменить договор, срок которого истекает, другим договором, более соответствующим нынешним интересам обеих сторон и содержащим в себе серьезные улучшения, турецкое правительство сообщило о своей готовности изучить со всем должным вниманием и доброжелательностью предложения, которые ему будут сделаны по этому поводу".¹³

მართალია იოსებ სტალინი თურქეთის დასახველად ემზადებოდა, მაგრამ იმთავითვე ცხადი იყო, რომ დიდი ბრიტანეთი და ამერიკის შეერთებული შტატები თურქეთის გაწირვას არ დაუშვებდნენ. თუმცა ყველაფერი დამოკიდებული იყო იმაზე, თუ როგორ დამთავრდებოდა ომი ევროპასა და აზიაში. ომი კი ჯერ კიდევ გრძელდებოდა.

1945 წლის მაისში მოკავშირეების ომი გერმანიის წინააღმდეგ ამ უკანასკნელის კაპიტულაციით დასრულდა. 1945 წლის სექტემბერში კაპიტულაცია გამოაცხადა იაპონიამაც. გამარჯვებულ მოკავშირეთა მიერ ევროპასა და აზიაში საზღვრების გადასინჯვის საკითხი უკვე პრაქტიკულად დაისვა.

1945 წლის 17 ივლისიდან 2 აგვისტომდე მიმდინარეობდა მოკავშირეთა ბერლინის (პოტსდამის) კონფერენცია. კონფერენციას ესწრებოდნენ მოკავშირე სახელმწიფოთა (საბჭოთა კავშირი, დიდი ბრიტანეთი, ამერიკის შეერთებული შტატები) პოლიტიკური ლიდერები: იოსებ სტალინი, უინსტონ ჩერჩილი, ჰარი ტრუმენი. კონფერენციის 1945 წლის 22 ივლისის სხდომის დღის წესრიგში საბჭოთა კავშირის მოთხოვნით შევიდა საკითხი თურქეთის შესახებ. სხდომაზე საბჭოთა კავშირმა უკვე აშკარად, ყოველგვარი შეფარვის გარეშე დააყენა საკითხი საბჭოთა კავშირ-თურქეთის სახელმწიფო საზღვრის გადასინჯვის შესახებ. ბერლინის (პოტსდამის) კონფერენციის სტენოგრაფიაში კეთილსუნდობთ:

Сталин. Я прошу предоставить слово Молотову.

Молотов. Я сейчас передам в письменном виде документ по вопросу о проливах на русском и английском языках. Но прежде я хотел бы разъяснить, как возник вопрос.

Турецкое правительство, проявив инициативу, предложило Советскому правительству заключить союзный договор. Турецкое правительство поставило этот вопрос сначала перед нашим послом в Анкаре, а затем, в конце мая, через турецкого посла в Москве.

В начале июня я имел две беседы с турецким послом в Москве Сарпером. На предложение турецкого правительства заключить союзный договор был дан ответ, что Советское правительство не возражает против заключения такого договора на определенных условиях. Мною было указано, что при заключении союзного договора мы должны урегулировать взаимные претензии.

С нашей стороны имеются два вопроса, которые следует урегулировать. Заключение союзного договора означает, что мы должны совместно защищать наши границы: СССР - не только свою границу, но и турецкую, а Турция - не только свою, но и советскую границу. Однако в некоторых частях мы считаем границу между СССР и Турцией несправедливой. Действительно, в 1921 году от Советской Армении и Советской Грузии Турцией была отторгнута территория - это известная территория областей Карса, Артвина и Ардагана.¹⁴ Вот карта отторгнутой турками

¹³ Внешняя политика Советского Союза в период Отечественной Войны. Документы и материалы. Том. III. Москва, 1947, стр. 163-164.

¹⁴ საუბარია ხელშეკრულებაზე, რომელიც 1921 წლის 13 ოქტომბერს ხელმოწერილ იქნა კარსში ოსმალეთს (თურქეთს), რუსეთს, საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს შორის. ხელშეკრულების ძალით საქართველოს ისტორიული ტერიტორია (გაოკლარჯეთი, ლაზეთი) გადაეცა ოსმალეთს (დაწერილებით იხ.



территории. (Передаёт карту.) Поэтому мною было заявлено, что для того, чтобы заключить договор, следует урегулировать вопрос об отторгнутой от Грузии и Армении территории, вернуть им эту территорию обратно.¹⁵

როგორც ვხედავთ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს ვიანესლავ მოლოტოვს კონფერენციისათვის წარუდგენია თურქეთის მიერ მიტაცებული ტერიტორიის რუკა. ჩვენთვის უცნობია რა ტერიტორიებს მოიცავდა ეს რუკა, თუმცა ვიანესლავ მოლოტოვის გამოსვლის ტექსტში თურქეთის მიერ მიტაცებულ ტერიტორიებად მინიშნულია: ყარსი, ართვინი და არტაანი. ცხადია, რუკაზე უფრო დაწვრილებით და ზუსტად იქნებოდა მინიშნებული ის ტერიტორია, რომელზედაც იოსებ სტალინი კანონიერ პრეტენზიას აცხადებდა.

იოსებ სტალინი კარგად გრძობდა, რომ თურქეთისადმი საბჭოთა კავშირის ტერიტორიული პრეტენზიების დაკმაყოფილებას დიდი ბრიტანეთი და ამერიკის შეერთებული შტატები წინ აღუდგებოდნენ. მიუხედავად ამისა, იოსებ სტალინი საკითხის დაყენებას მაინც აპირებდა. ამჯერად ჩვენ გვაინტერესებს საბჭოთა კავშირ-თურქეთის ურთიერთობაში ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის საკითხი. ამ საკითხს იოსებ სტალინი იმდენად დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა, რომ მზადება თურქეთისათვის ტერიტორიული პრეტენზიების წაყენებისათვის 1944 წლის მარტიდან დაიწყო. გასათვალისწინებელია ის, რომ 1944 წლის მარტისათვის გერმანიის ჯარებს ჯერ კიდევ ოკუპირებული ჰქონდათ საბჭოთა კავშირის ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი.

1944 წლის გაზაფხულზე აკადემიკოსმა სიმონ ჯანაშიამ რუსულ ენაზე დაწერა ნარკვევი **„К вопросу о грузинских территориях включенных в состав Турции“**. რატომ დაინტერესდა სიმონ ჯანაშია ამ შინაარსის ნარკვევის დაწერით? აშკარაა, რომ ამ შემთხვევაში ისტორიკოსის მეცნიერულ მიზნებზე ვერ ვისაუბრებთ. სიმონ ჯანაშია ამ პრობლემატიკით მანადე არასდროს დაინტერესებულა. ნარკვევის შინაარსის დაწვრილებით შესწავლამ აშკარა გახადა, რომ იგი საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობის დაკვეთითაა შესრულებული. ვინ და როდის შეუკვეთა სიმონ ჯანაშიას აღნიშნული ნარკვევის დაწერა, საარქივო მასალებიდან არ ირკვევა, მაგრამ ნიშანდობლივია ის, რომ სიმონ ჯანაშიას ნარკვევი 1944 წლის 26 მარტს საქართველოს კომუნისტური პარტიის(ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველი მდიენის კანდიდ ჩარკვიანის მაგიდაზე აღმოჩნდა.¹⁶ მნიშვნელოვანია ისიც, რომ სიმონ ჯანაშიას ნარკვევი **„К вопросу о грузинских территориях включенных в состав Турции“** საფუძვლად დაედო საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობის დაკვეთით შესრულებულ მეორე დოკუმენტს, სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის ცნობილ წერილს „თურქეთისადმი ჩვენი კანონიერი პრეტენზიების შესახებ“, რომელიც სიმონ ჯანაშიას ნარკვევისაგან განსხვავებით 1945 წლის დეკემბერში პრესაშიც გამოქვეყნდა.¹⁷

საბჭოთა კავშირის მიერ თურქეთისადმი მოსალოდნელი ტერიტორიული პრეტენზიების წაყენება, ცხადია, დიდ ინტერესს აღძრავდა საბჭოთა სომხეთის პოლიტიკურ ხელმძღვანელობაში. 1945 წლის 7 ივლისს სომხეთის კომუნისტური პარტიის(ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა გ. ა. არუთინოვმა სპეციალური წერილით მიმართა იოსებ სტალინსა და ვიანესლავ მოლოტოვს. წერილში აღნიშნული იყო, რომ სომხეთს პრეტენზია ჰქონდა თურქეთის შემადგენლობაში შემავალ ყარსის ოლქზე. ანალოგიური წერილით იოსებ სტალინს მიმართა სრულიად სომეხთა

ვახტანგ გურული. საქართველო-რუსეთის ურთიერთობა (1483-1921). თბილისი, 2011, გვ. 113-119; ვახტანგ გურული. საქართველო და გარე სამყარო. თბილისი, 2011, გვ. 102-116).

¹⁵ http://www.hist.msu.ru/ER/Text/War_Conf/berlin.htm, p.p. 1,2,13-15.

¹⁶ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 25, საქმე 229, ფურცელი 33-56.

¹⁷ ვახტო „კომუნისტ“, 1945. 14 დეკემბერი, გვ. 3; Газета „Заря Востока“, 1945, 15 декабря, №247, стр. 3.



კათალიკოსმა გეორგ VI-მ¹⁸ ამასთან ერთად ცნობილი გახდა, რომ საბჭოთა საქარტველო და საბჭოთა სომხეთი ვერ შეთანხმდებოდნენ თურქეთის შემადგენლობაში შემაჯავლი ტერიტორიების გადანაწილებისას. კერძოდ საქარტველოსა და სომხეთს შორის სადაო იყო არტაანისა და ოლთისის ყოფილი ოკრუგები.¹⁹ მიუხედავად იმისა, რომ თურქეთის შემადგენლობიდან საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში ტაო-კლარჯეთის და ლაზეთის ტერიტორიის გადასვლა ჯერ რეალურად არ იდგა, საბჭოთა საქარტველოსა და საბჭოთა სომხეთს შორის უთანხმოება კარგის მიმანიშნებელი არ იყო.

ბერლინის (პოტსდამის) კონფერენციას სამწუხაროდ ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის თურქეთისათვის ჩამორთმევის საკითხი არ გადაუწყვეტია. კონფერენციამ მთელი ყურადღება ევროპაში საზღვრების დადგენას დაუთმო. მიუხედავად ამისა, იოსებ სტალინი საკითხს დახურულად არ აღიარებდა, რაც სულ მალე გახდა ცხადი. 1945 წლის 14 დეკემბერს გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის წერილი „თურქეთისადმი ჩვენი კანონიერი პრეტენზიების შესახებ“.²⁰ 15 დეკემბერს წერილის სრული რუსული თარგმანი გამოქვეყნდა გაზეთში „Заря Востока“.²¹ სულ მალე, 1945 წლის 20 დეკემბერს სიმონ ჯანაშიას და ნიკო ბერძენიშვილის წერილი გადაიბეჭდა გაზეთებში „Правда“ და „Известия“, ხოლო 22 დეკემბერს გაზეთში „Правда Украины“.

სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის წერილის „თურქეთისადმი ჩვენი კანონიერი პრეტენზიების შესახებ“ გამოქვეყნების დროისათვის (1945 წლის დეკემბერი) საბჭოთა კავშირ-თურქეთის ურთიერთობა უაღრესად დაძაბული იყო. თურქეთის მთავრობა, ქვეყნის მთელი პოლიტიკური სპექტრი, პატრიოტულად განწყობილი მოსახლეობა მტკივნეულად აღიქვამდა საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობის ტერიტორიულ პრეტენზიებს თურქეთისადმი, ასევე საბჭოთა მთავრობის მოთხოვნას ბოსფორისა და დარდანელის სრუტეების რეჟიმის გადასინჯვასთან დაკავშირებით. ამიტომ იყო, რომ ბერლინის (პოტსდამის) კონფერენციის (1945 წლის ივლის-აგვისტო) შემდგომი პერიოდი საბჭოთა კავშირ-თურქეთის ურთიერთობაში სერიოზული დაძაბულობით აღინიშნა. 1945 წლის 6 დეკემბერს გაზეთში „Правда“ გამოქვეყნდა შენიშვნა „Фашистские бесчинства в Стамбуле“. გაზეთის პუბლიკაციის ტექსტი მოგვყავს მთლიანად:

„Анкара, 5 декабря (ТАСС). Вчера днем в Стамбуле при явном покровительстве полиции состоялась демонстрация из нескольких тысяч фашистски настроенных студентов, учащихся военных училищ и лицеев, а также других элементов, причем характер этой демонстрации показал, что она была заранее подготовлена властями. Демонстранты, подогреты на соответствующих митингах, направились к тем зданиям, где помещаются редакции немногих в Турции демократических изданий; они разрушили помещения редакций и типографий демократических газет „Тан“, „Ля тюрки“, „Ени дюнья“ и недавно основанного журнала „Герюшлер“, избили сотрудников этих изданий, сломали все типографские машины, уничтожили мебель и всю обстановку в редакциях и учинили многие другие фашистские хулиганства. Разгромлен также книжный магазин, продававший советские книжные новинки; уничтожены книги и другие печатные издания, имевшиеся в этом магазине. Фашистские демонстранты выкрикивали враждебные Советскому Союзу лозунги.

Несмотря на это, некоторые официальные лица в Анкаре и Стамбуле пытаются изобразить эти уличные бесчинства, как проявление какой-то „демократии“, а начальник полиции, как передает газета „Сон тельграф“, квалифицировал происходившее на стамбульских улицах, как

¹⁸ Территориальные претензии СССР к Турции. <http://ru.wikipedia.org/wiki>.

¹⁹ Территориальные претензии СССР к Турции. <http://ru.wikipedia.org/wiki>.

²⁰ გაზეთი „კომუნისტი“, 1945, 14 დეკემბერი, №246, გვ. 3.

²¹ Газета „Заря Востока“, 1945, 15 декабря, #247, стр. 3.

„патриотическую демонстрацию“.²²

სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის წერილის გამოქვეყნებიდან მორე დღეს, 1945 წლის 15 დეკემბერს, გაზეთი „Правда“ კვლავ უბრუნდება სტამბოლის დემონსტრაციას და ამჯერად აქვეყნებს მასალას სათაურით „По поводу демонстрации в Стамбуле“. გაზეთის პუბლიკაციის ტექსტი მოგვყავს მთლიანად:

„Как уже сообщалось в нашей печати, 4 декабря в Стамбуле имела место демонстрация из нескольких тысяч студентов, учащихся военных училищ и лицеев и других элементов. Во время этой демонстрации были разгромлены помещения всех демократических газет в Стамбуле. Также были разгромлены два магазина, торговавшие советской литературой и другими изданиями демократического характера. Во время демонстрации раздавались враждебные Советскому Союзу выкрики, что признавали на другой день после демонстрации и представители высшей турецкой администрации в Стамбуле.

8 декабря Советский Посол в Анкаре Виноградов вручил турецкому министру иностранных дел г-ну Хасан Сака ноту, в которой было сказано, что, по сведениям, полученным Советским Правительством, состоявшаяся 4 декабря в Стамбуле демонстрация сопровождалась многочисленными враждебными Советскому Союзу выкриками, разгромом двух магазинов, в которых продавалась советская литература, и уничтожением советских книг, что придавало этой демонстрации враждебный Советскому Союзу характер. Указанные враждебные проявления со стороны демонстрантов имели место при отсутствии какого-либо противодействия со стороны турецкой полиции, охранявшей демонстрацию. Далее в ноте указывалось, что Советское Правительство не может пройти мимо таких провокационных действий в отношении СССР, и было заявлено, что ответственность за указанные действия ложится на Турецкое Правительство.

11-го декабря Турецкое Правительство в своей ответной ноте заявило, что в результате расследования турецких властей установлено, что стамбульская демонстрация имела „чисто внутренний характер“ и что эта демонстрация „означает просто реакцию одной части общественного мнения на теории, исповедуемые некоторыми турецкими журналистами“.

Сделав ссылку на какое-то дополнительно произведенное расследование, нота заявляет, что „демонстрация 4 декабря не носила, ни вследствие криков, ни вследствие действий, никакого враждебного какой-либо иностранной державе характера“ и что „не может быть речи ни о служебной провинности со стороны полицейских сил, ни тем более о какой-либо ответственности со стороны Турецкого Правительства“.

В турецкой ноте содержится также попытка опровергнуть сообщение корреспондента ТАСС о демонстрации 4 декабря, хотя в советской ноте не было никаких ссылок на такого рода сообщения.

При вручении Советскому Послу в Турции ноты от 11 декабря турецкий министр иностранных дел предложил опубликовать в печати содержание советской и турецкой нот.

В ответ на это предложение Советский Посол сообщил министру, что Советское Правительство не возражает против опубликования советской ноты и ответной турецкой ноты по поводу демонстрации 4 декабря в Стамбуле, если Турецкое Правительство считает это необходимым. Однако Советское Правительство находил нужным заявить, что ответ Турецкого Правительства является неудовлетворительным ввиду его необоснованности и отрицания очевидных фактов (ТАСС).²³

ზემოთ მოტანილი მასალა ცხადს ხდის, რომ სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის წერილის გამოქვეყნებას მწვავე რეაქცია მოჰყვებოდა თურქეთში.

საქართველოს პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ, ცხადია, მოსკოვის მითითების თანახმად, დაიწყო საზოგადოებრივი აზრის დამუშავება, გამოქვეყნდა გამოწერილი

²² Внешняя политика СССР. Сборник документов. Том VI. Москва, 1947, стр. 99-100.

²³ Внешняя политика СССР. Сборник документов. Том VI. Москва, 1947, стр. 101.



ქართველ მეცნიერთა გამოსხაურებები სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის წერილზე. კერძოდ, გამოსხაურებები გამოაქვეყნეს (ჩამოვთვლით ქრონოლოგიური თანმიმდევრობით):

1. პროფესორმა არნოლდ ჩიქობავამ.²⁴
2. ამირკავკასიის მუსლიმთა სასულიერო სამმართველოს წევრმა, აჭარის ყადმა რასის სულეიმანის ძე ბერიძემ.²⁵
3. სრულად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა კალისტრატე ცინცაძემ.²⁶
4. პროფესორმა სერგი ჯიქიამ.²⁷
5. პროფესორმა დ. ზავრიუვამ.²⁸
6. პროფესორებმა ნადიმ ნიქარაძემ, ჯემალ ნოლაიდელმა, მემედ სტამბოლიშვილმა და ხუსეინ ახვლედიანმა.²⁹
7. პროფესორმა ექვთიმე თაყაიშვილმა.³⁰

აქვე გვინდა შეგვხრდეთ კიდევ ერთ დოკუმენტზე, რომელიც საქართველოს პოლიტიკური ხელმძღვანელობის დაკვეთით შეიქმნა, მაგრამ არ გამოქვეყნებულა. ეს არის აკადემიკოს ალექსანდრე ჯავახიშვილის ნარკვევი „სამხრეთ-დასავლეთი საქართველო ვახუშტი ბაგრატიონის აღწერილობით“. ეს ნარკვევი მეცნიერს 1946 წლის 7 იანვარს დაუსრულებია და საქართველოს კომუნისტური პარტიეს (ბ) ცენტრალური კომიტეტისათვის წარუდგენია.³¹

1946 წლის 25 თებერვალს საქართველოს კომუნისტური პარტიეს (ბ) ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი კანდიდ ჩარკვიანი მოხსენებით გამოვიდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 25 წლისთავთან დაკავშირებით. მოხსენების ტექსტი დაიბეჭდა გაზეთში „Правда“. თურქეთის მიერ მიტაცებულ საქართველოს ისტორიულ ტერიტორიასთან (ტაო-კლარჯეთთან, ღაზეთთან) დაკავშირებით მოხსენებაში ნათქვამი იყო:

„Грузинский народ глубоко сознает, что своим политическим, экономическим и культурным возрождением он обязан мудрой ленинско-сталинской национальной политике, взрастившей нерушимую дружбу между народами Советского Союза.

Особо признателен грузинский народ великому русскому народу. Дружба грузинского народа с русским народом, нашедшая свое лучшее воплощение в условиях советского строя, имеет глубокие исторические корни. Зачатки ее мы находим еще в XVI столетии. После присоединения Грузии к России эта дружба, несмотря на неимоверный гнет царского самодержавия, укреплялась из года в год.

Благодаря этому историческому содружеству и мощной поддержке русского народа грузинский народ был избавлен от бесконечных нашествий хищных завоевателей.

Одно то, что за последние полтора столетия Грузия не становилась ареной крупных военных действий, приносящих разрушения народному хозяйству и бедствия мирному населению, достаточно красноречиво говорит об огромном значении для грузинского народа братского содружества с могучим русским народом.

²⁴ Газета „Заря Востока“, 1945, 20 декабря, #250, стр. 3.

²⁵ გაზეთი „კომუნისტი“, 1945, 28 დეკემბერი, №256, გვ. 3.

²⁶ გაზეთი „კომუნისტი“, 1946, 8 იანვარი, №6, გვ. 3.

²⁷ გაზეთი „კომუნისტი“, 1946, 29 იანვარი, №21, გვ. 3.

²⁸ გაზეთი „კომუნისტი“, 1946, 3 მარტი, №46, გვ. 3.

²⁹ გაზეთი „კომუნისტი“, 1946, 7 მაისი, №91, გვ. 3.

³⁰ გაზეთი „კომუნისტი“, 1946, 25 მაისი, №104, გვ. 3-4; 26 მაისი, №105, გვ. 2-3.

³¹ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 20, საქმე 353, ფურცლები 1-14 (გამოქვეყნებულია: ვახტანგ გურული, ლევან ჯიქია, აკადემიკოს ალექსანდრე ჯავახიშვილის ნაშრომი „სამხრეთ-დასავლეთი საქართველო ვახუშტი ბაგრატიონის აღწერილობით“ – „მაცნე“, საქართველოს მეცნიერებათა ფრონტული აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, №1, 2012, გვ. 118-125).

Грузинский народ встречает 25-летие установления советской власти в республике большими радостными достижениями, приведшими к окончательному укреплению грузинской государственности на основе победы социалистического общественного строя.

Но остается неосуществленной одна вековая мечта грузинского народа: восстановление территориальной целостности Грузии. Вне ее границ все еще остаются исконные грузинские земли: районы Артаани (Ардагана), Артвини, Ольты, Тортума, Байбурта, Испира, Гюмюшханз, Лазистан. Поэтому понятны настойчивые требования грузинской советской общественности о возвращении Грузии отторгнутых от нашей Родины территорий, являющихся колыбелью культуры и государственности грузинского народа.

Грузинский народ принес достаточно много жертв для защиты общечеловеческой цивилизации от варваров древности и от варваров XX века. Он вправе надеяться на удовлетворение своих законных требований³².

გაზეთ „პრავდაში“ საბჭოთა საქართველოს პოლიტიკური ლიდერის კანდიდ ჩარკვიანის იმ მოხსენების დაბეჭდვა, რომელშიც ყოველგვარი შეფარვის გარეშე იყო საუბარი თურქეთის მიერ მიტაცებულ ქართულ ტერიტორიებზე, იმის მანიშნებელი იყო, რომ საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობა ბერლინის (პოტსდამის) კონფერენციის შემდეგაც იგივე აზრზე რჩებოდა – თურქეთისადმი ტერიტორიულ პრეტენზიებს დღის წესრიგიდან არ ხსნიდა. ცხადია, კანდიდ ჩარკვიანის მოხსენებაში არც მასალის და არც შეფასებების მხრივ სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის წერილიდან განსხვავებული არაფერია. კანდიდ ჩარკვიანის მოხსენება პოლიტიკური დოკუმენტი იყო და იგი საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ხელმძღვანელობის პოზიციას გამოხატავდა.

აკადემიკოს სიმონ ჯანაშიასა და აკადემიკოს ნიკო ბერძენიშვილის წერილს „თურქეთისადმი ჩვენი კანონიერი პრეტენზიების შესახებ“, უწმიდესისა და უნეტარესის, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კალისტრატეს (კინცაძე) გამოხმაურებას, ასევე ქართველი მეცნიერების (ეკეთიმე თაყაიშვილის, სერგი ჯიქიას, არნოლდ ჩიქობავას და სხვ.) წერილებს დიდი საერთაშორისო რეზონანსი ჰქონდა. განსაკუთრებით აღშფოთებით შეხვდნენ ქართველ მეცნიერთა წერილებს თურქეთში.³³

ბერლინის (პოტსდამის) კონფერენციამ (1945 წლის ივლის-აგვისტო), როგორც აღვნიშნეთ, თურქეთისადმი საბჭოთა კავშირის ტერიტორიული პრეტენზიები არ დააკმაყოფილა. კონფერენციის შემდეგ საბჭოთა კავშირ-თურქეთის ურთიერთობა კვლავ დაძაბული რჩებოდა.³⁴

იოსებ სტალინი რომ თურქეთისადმი ადრე წაყენებულ ტერიტორიულ პრეტენზიებზე უარის თქმას არ აპირებდა, ეს კარგად ჩანს საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ვრცელ განცხადებაში, რომელიც 1946 წლის 28 სექტემბერს გამოქვეყნდა გაზეთ „პრავდაში“. ამერიკელი ისტორიკოსი ედუარდ მარკი ამტკიცებს, რომ საბჭოთა კავშირ-თურქეთის ურთიერთობამ 1946 წლის აგვისტოში ისეთ კრიტიკულ ზღვარს მიაღწია, რომ ამერიკის შეერთებულმა შტატებმა სერიოზულად დაიწყო მზადება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ატომური ომისათვის. საბჭოთა კავშირის პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ იგრძნო შექმნილი საფრთხე და უკან დაიხია. ვიანესლავ მოლოტოვი მოგვიანებით აცხადებდა: „Хорошо, что вовремя отступили“.³⁵

საბჭოთა კავშირ-თურქეთის ურთიერთობა 1946 წლის შემდეგ წინააღმდეგობრივად ვითარდებოდა. იოსებ სტალინი რეალობას შეეგუა – ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთის დაბრუნებაზე ხელი აიღო, თუმცა თურქეთთან ურთიერთობის მოგვარებას არ ჩქარობდა.

³² Газета „Правда“, 1946. 25 февраля, №48, стр. 2.

³³ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II). ფონდი 14, აღწერა 20, საქმე 253, ფურცელი 84-86.

³⁴ Внешняя политика СССР. Сборник документов. Том VI. Москва, 1947, стр. 318.

³⁵ Территориальные претензии СССР к Турции. <http://ru.wikipedia.org/wiki>.



იოსებ სტალინის გარდაცვალების შემდეგ საბჭოთა კავშირის ახალმა პოლიტიკურმა ხელმძღვანელობამ მიიღო გადაწყვეტილება საბჭოთა კავშირსა და თურქეთს შორის დაძაბული ურთიერთობის მოგვარების შესახებ. 1953 წლის 30 მაისს საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ საგანგებო ნოტიო თურქეთის მთავრობას აცნობა, რომ საბჭოთა მთავრობა უარს ამბობდა თურქეთისადმი ადრე წაყენებულ ტერიტორიულ პრეტენზიებზე.³⁶ ტაო-კლარჯეთისა და ლაზეთისათვის ოცდაცხრაწლიანი (1944-1953 წწ.) დაძაბული ბრძოლა უშედეგოდ დამთავრდა.

დიდ სახელმწიფოთა ნებით წინათ დაკანონებული უსამართლობა უსამართლობადვე დარჩა. საქართველოს ბედი დიდ სახელმწიფოთა ურთიერთობებში წყდება, ქართველი ერის ინტერესები დიდ პოლიტიკას ეწირებოდა.

ინტელექტუალური ინტელექტუალური

³⁶Заявление советского правительства правительству Турции от 30 мая 1953 года_ <http://www.obraforum.ru/pdf/fourth.pdf>.

დოკუმენტები და მასალები

დოკუმენტი №1. ამიერკავკასიის სემის მიერ 1918 წლის 1 მარტს მიღებული ძირითადი დებულებები ამიერკავკასია-ოსმალეთის ტრაპიზონის საზავო კონფერენციისათვის*

Принято единогласно на заседании 16 февраля (1 марта) 1918 г.

- 1) Закавказский Сейм при создавшихся условиях считает себя правомочным заключить мир с Турцией.
- 2) Закавказский Сейм, приступая к мирным переговорам, ставит себе задачей заключить окончательный мир с Турцией.
- 3) В основание заключенного мирного договора должно лечь восстановление государственных границ России с Турцией, существовавших к моменту объявления войны в 1914 г.
- 4) Делегация добивается права на самоопределение для Восточной Анатолии, в частности, автономии Турецкой Армении в рамках турецкой государственности.

Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии. Тифлис, 1919, стр. 83-84 (გამოქვეყნებულია: სერგო ვარდოსანიძე, ვახტანგ გურგული, კობა ხარაძე, ლევან ჯიქია. საქართველოს საზღვრები (1917-1938). ნარკვევი. დოკუმენტები და მასალები. თბილისი, 2014, გვ. 39).

დოკუმენტი №2. ამიერკავკასიის კომისარიატის მიერ 1918 წლის 2 მარტს გამოთქმული პროტესტი ბრესტ-ლიტოვსკის საზავო მოლაპარაკებებზე საბჭოთა რუსეთის მიერ ოსმალეთისათვის ტერიტორიის დათმობის თაობაზე

Брест-Литовск, мирной конференции, Петроград Совнаркому, Лондон, Париж, Вашингтон, Рим, Токио, Константинополь, Берлин, Вена, Министрам Иностранных Дел, Киев Центральной Раде, Одесса Совдеп.

Закавказское Правительство, согласно решения Сейма, считает всякий договор, касающийся Закавказья и его границ, заключенный без его ведома и одобрения, лишенным, международного значения и обязательной для себя силы; при этом доводится до всеобщего сведения, что Закавказским Сеймом уже выбрана мирная делегация, которая готова выехать в Трапезунд, согласно предварительным переговорам с Турцией, для заключения окончательного с нею мира.

Председатель Закавказского Правительства
Председатель Закавказского Сейма

Гегечкори
Чхендзе

Тифлис, 17 февраля (2 марта) 1918 г.

Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии. Тифлис, 1919, стр. 85-86 (გამოქვეყნებულია: სერგო ვარდოსანიძე, ვახტანგ გურგული, კობა ხარაძე, ლევან ჯიქია. საქართველოს საზღვრები (1917-1938). ნარკვევი. დოკუმენტები და მასალები. თბილისი, 2014, გვ. 39).

* ავტორების მიერ დოკუმენტის დასათაურებისას (ქართული ტექსტი) თარიღები მოტანილია ახალი სტილით. დოკუმენტებში (რუსული ტექსტი) თარიღები მოტანილია ძველი სტილით. დოკუმენტის თავსა და ბოლოში თარიღები მოტანილია ძველი და ახალი სტილით. ახალი სტილი მოცემულია ფრჩხილებში - ავტ.

დოკუმენტი №3. რუსეთ-გერმანია-აესტრია-უნგრეთ-ბულგარეთ-ოსმალეთს შორის 1918 წლის 3 მარტს დადებული ბრესტ-ლიტოვსკის საზავო ხელშეკრულების მეოთხე მუხლიდან

Статья IV

Россия делает все от нее зависящее, чтобы обеспечить скорейшее очищение провинций Восточной Анатолии и их упорядоченное возвращение Турции.

Округа Ардагана, Карса и Батума также незамедлительно очищаются от русских войск. Россия не будет вмешиваться в новую организацию государственно-правовых и международно-правовых отношений этих округов, а предоставит населению этих округов установить новый строй в согласии с соседними государствами, в особенности с Турцией.

Документы внешней политики СССР. Том I. Москва, 1957, стр. 121 (გამოქვეყნებულია: სერგო ვარდოსანიძე, ვახტანგ გურული, კობა ხარაძე, ლევან ჯიქია. საქართველოს საზღვრები (1917-1938). ნარკვევი. დოკუმენტები და მასალები. თბილისი, 2014, გვ. 40).

დოკუმენტი №4. ვეპიბ-ფაშას მიერ 1918 წლის 10 მარტს კავკასიაში რუსეთის არმიის სარდალს გენერალ ლებედინსკისთვის გადაცემული რადიოტელეგრამა ყარსის, არტაანისა და ბათუმის დაცლის მოთხოვნის თაობაზე

Генералу Лебединскому, Главнокомандующему русскими армиями на Кавказе
Ваше Превосходительство!

Российская Республика, согласившись на эвакуацию областей Батума, Карса и Ардагана, только что подписала мирный договор касательно этого. Вследствие этого имею честь уведомить Ваше Превосходительство, что я получил сейчас приказ моего Генералиссимуса просить Вас выполнить в кратчайший срок эвакуацию указанных областей. В ожиданий ответа Вашего Превосходительства прошу Вас принять уверение в моем глубоком уважении. Вехиб-Мехмед.

25 февраля (10 марта) 1918 г.

Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии. Тифлис, 1919, стр. 86 (გამოქვეყნებულია: სერგო ვარდოსანიძე, ვახტანგ გურული, კობა ხარაძე, ლევან ჯიქია. საქართველოს საზღვრები (1917-1938). ნარკვევი. დოკუმენტები და მასალები. თბილისი, 2014, გვ. 40).

დოკუმენტი №5. ტრაპიზონის საზავო კონფერენციაზე 1918 წლის 16 მარტს ოსმალეთის დელეგაციის მიერ გაურცელებული დეკლარაცია ამიერკავკასიისათვის ბრესტ-ლიტოვსკის ზავის სავალდებულოდ ცნობის თაობაზე

Декларация Оттоманской делегации об обязательности для Закавказья
Брест-Литовского договора

1) Во второй части декларации, представленной делегацией Закавказья, сказано: «С момента большевистского восстания (27 октября стар. ст. 1917 г.) прекратилось действие центральной Российской власти на территории Закавказья и возникло новое самостоятельное правительство, ныне ответственное перед Сеймом.



Оттоманская Императорская делегация имеет честь просит определить границы территории Закавказья.

2) В третьей части указаний декларации выражено, что «Сейм и Правительство Закавказья разослали по телеграфу протест Министрам иностранных дел воюющих держав против мирного договора, заключенного в Брест-Литовске, в части, касающейся Закавказья, признавая договор, заключенный без их ведома и одобрения, лишенным всякого значения, с точки зрения международного права, и необязательным для себя».

Оттоманская Императорская делегация считает своим долгом утверждать, что, нисколько не упуская из виду правил международного публичного права, в силу которого договоры, заключенные между двумя государствами, не должны иметь никакого действия по отношению к третьему государству, необходимо, чтобы это последнее, дабы могло воспользоваться этим правилом, образовалось, соответственно принципам международного права, и чтобы оно приняло меры к признанию со стороны всех других держав. Само собою разумеется, что признание вовсе не может иметь обратной силы.

Между тем, Правительство Закавказья даже не было сконструировано во время переговоров в Брест-Литовске и ничего не сделало до сих пор для признания своей независимости со стороны других держав.

Это обстоятельство подтверждается также содержанием письма г. Гегечкори от 23-го января 1918 г. В этом письме говорится, что Правительство Закавказья поставлено в необходимость согласовать свое поведение и свои действия, ввиду прекращения военных действий, с поведением и актами других автономных государств, составляющих территориальное единство Российской Республики и одинаково с Кавказом заинтересованных в деле мира.

Что же касается неучастия делегатов Закавказья на конференции в Брест-Литовске, то само собою ясно, что именно несуществованием на Кавказе независимого государства во время указанных переговоров и объясняется поведение Закавказского Правительства, считавшего себя членом Российской Федеративной Республики, а также его воздержание от отправки своих представителей на конференцию.

Таким образом, очевидно, что если бы Закавказское Государство, созданное согласно принципам права, изъявило желание участвовать в переговорах, то ничто не помешало бы его вступлению в эти переговоры, как то доказывается с очевидностью примером Украины.

Оттоманское Императорское Правительство, узнав во время военных действий против России об образовании государства в Закавказье и о намерении этого последнего отделиться от России, выразило желание познакомиться с ним и вступить в добрососедские с ним отношения.

Впрочем, до настоящего времени на Кавказском фронте стояла исключительно только Русская армия.

На основании вышеизложенных соображений, Оттоманская Императорская делегация считает неприемлемой декларацию Закавказской делегации о недействительности Брест-Литовского договора в части, касающейся Кавказа.

Трапезунд, 3 (16) марта 1918 г.

Документы и материалы по внешней политике Закавказья и Грузии. Тифлис, 1919, стр. 118-119
 (გამოქვეყნებულია: სერგო ვარდოსანიძე, ვახტანგ გურული, კობა ხარაძე, ლევან ჯიქია. საქართველოს საზღვრები (1917-1938). ნაკვეთი. დოკუმენტები და მასალები. თბილისი, 2014, გვ. 41).

დოკუმენტი №6. ამიერკავკასიის დელეგაციის მიერ 1918 წლის 21 მარტს გაკეთებული განცხადება ოსმალეთთან ზავის პირობების თაობაზე

Заявление Закавказской делегации об условиях мира

В ответ на декларацию Оттоманской делегации от 20 марта 1918 года, Закавказская делегация имеет честь заявить следующее:

Закавказская делегация по вопросу о правомерности и обязательности Брест-Литовского договора остается на своей прежней точке зрения.

По вопросу о декларировании независимости Закавказья, Закавказская делегация имеет честь довести до сведения Оттоманской делегации, что Закавказский Сейм от 7 марта (22 февраля) сего года принял следующее постановление: «Обсудив вопрос об объявлении Закавказской независимой демократической Республики,

Сейм, признавая при известных условиях принципиально допустимым разрешение вопроса в положительном смысле, поручает специальной комиссии его разработку в кратчайший срок».

Закавказская делегация имеет полное основание думать, что упомянутые в этом постановлении Сейма «известные условия» находятся в прямой зависимости от заключения прочного мира между Османским и Закавказским Правительствами на приемлемых для обеих сторон началах.

Согласно постановлению Закавказского Сейма от 2 марта (17 февраля) таковыми началами являются:

- «1) Закавказский Сейм, при создавшихся условиях, считает себя правомочным заключить мир с Турцией.
- 2) Закавказский Сейм, приступая к мирным переговорам, ставит себе задачей заключить окончательный мир с Турцией.
- 3) В основание заключенного мирного договора должно лечь восстановление государственных границ России с Турцией, существовавших к моменту объявления войны в 1914 году.

4) Делегация добивается права на самоопределение для народов Восточной Анатолии, в частности – автономии Турецкой Армении в рамках Турецкой государственности».

სამცხე-საათაბაგოს ამ ზოგადი დახასიათების შემდეგ ვახუშტი აღწერს მის ცალკეულ გეოგრაფიულს და, ამასთანავე, ისტორიულ-აღმინისტრაციულ ნაწილებს შემდეგი თანამიმდევრობით: „სამცხისათვის, ჯავახეთისათვის, ერუშეთისათვის, არტანუსათვის, კოლხისათვის, ჭოროხისათვის, აჭარისათვის, ფორჩხის ხეობისათვის, ანაკერტი, შავშეთისათვის, ართვანისათვის, ღიჯანის ხეობისათვის, არტანუჯისათვის, კალმახის ციხისათვის, ფანაკეტისათვის, ოღთისისათვის, ტაოსათვის, ბასიანისათვის, ისპირისათვის, თორთომისათვის, საქართველოს ყველისათვის, ბაიბურდისათვის, ჭანეთისათვის.“ მაშასადამე, ვახუშტი ჯერ იხილავს მტკვრის ზემო აუზის ნაწილებს, შემდეგ ჭოროხის აუზისა, არეხის სათავისას და ბოლოს, შავი ზღვის სანაპიროსა.

ას შემდეგ მეტმა განვლო ვახუშტის დროისათვის, რაც საქართველოს სამეფოს პოლიტიკურ სხეულს მოსწყვიტის და მის კულტურულ გულს მოგლიჯავს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილთაგანი. მიუხედავად ამ პოლიტიკური და ისტორიული უკუღმართობისა, ქართველი ერის მოწინავე შეიღების გონებაში და გულში არ იშლებოდა ნათელი და დაუწევარი წარმოდგენა და ცოდნა საქართველოსაგან დროებით მოწყვეტილი მთარგების შესახებ. ვახუშტი ისეთ დაწვრილებით და გულმოდგინებით აღწერს ამ მხარეს, თითქოს იგი ისევ საქართველოს სამეფოს საზღვრებში ყოფილიყო მოქცეული. ვახუშტის მიერ ამ მხარის ზედმიწევნით ცოდნის ხანიმულად მოვიყვანო უფრო განაპირად მდებარე ადგილების აღწერას: კლარჯეთისას და ჭანეთისას.

კლარჯეთის შესახებ ვახუშტი სწერს:

„არს საზღვარი ამის: აღმოსავლით მთა, რომელი განვლის კლარჯეთსა და ტაოს შუა ზღვამდე; სამხრით მთა იგი, რომელს სდის მდინარენი და ერთვის ჭოროხსა; დასავლით მთა აზრუმ-ბასიანს შორის განვლილი ზღვამდე, და ჩდილოთ შავი ზღვა. და არიან ამით შინა თორთომი, ხახული, ისპირი, ფორჩხა, ბაიბურდი და ჭანეთი“.

„ამ ქვეყანასა შინა უოდდეს მდინარე არს ჭოროხი, რომელი გამოხდის ირიჯლუს მთასა და დის სამხრიდამ ჩდილოთ, მცირედ აღმოსავლეთით მიწეულად, ხვარამზეს ხიღამდე. მას ქვეით მოუხევეს და დის, უმეტეს ართვინიდან, ჩდილოთ-დასავლეთს შუა, და მიერთვის ბათომს ქვეით შავ ზღვას. სიგრძით არს ზღვიდამ ირიჯლუს მთამდე, და დის ფრთად ჩქარად ქვიანსა, კლდიანსა და ხრამოვანსა შინა. და არს თვეზიანი, გარნა მთის კერძოდ უმეტეს კალმახნი, სასმისად შემრგო, გემოიანი და სხვებ ურგად, ვინაიღგან არარაი კეთდების ანუ ირწყვის, თვინიერ ერგეს, გონიას და ბათომს“.

კლარჯეთის სხვა ნაწილთაგან უფრო მეტად ჩერდება ვახუშტი შავშეთის, არტანუჯის



ისპირის, თორთომის და ბაიბურდის აღწერაზე.

შავშეთის შესახებ ვკითხულობთ: „და მხდერის შავშეთს: აღმოსავლით მთა არსიან, გარდავლენან მას ზედა გზანი ერუშეთს, ფოცხოვის-ხეობას და ზარზმა-ყველს; სამხრით მხდერის კლდე, არტანუჯსა და შავშეთს შორის, ვითარცა კედელი, რომელი ჩამოვალს არსიანის მთიდან დასავლეთად, ვიდრე კინიდა ჭოროხამდე, და განვლის მას კლდეცა შინა. გზა, ვითარცა კარი, და თუნიერ მისა არა არს გზა; დასავლით მთა შავშეთისა, შავშეთსა და ჭოროხის შორის; ჩდილოთ მთა, არსიანიდამ ჩამოსვლით დასავლით ჭოროხამდე“.

„და არს ესე შავშეთი ტყიანი, გორა-მთიანი, დედუ-ღრატოიანი, იწრო და მაგარი, ვენახ-ხილიანი. ნაყოფიერებენ ყოველნი მარცვალნი, თუნიერ ბრინჯ-ბამბისა. პირუტყენი, ნადირნი, ფრინველნი და თევზნი მრავალნი. და ნაყოფიერებს ფრიად მიწა ამის, რაოდენიც იხმარების სივიწროვედ“.

ამასთანავე, ვახუშტი აღწერს შავშეთის მდინარეებს, ხეობებს, მნიშვნელოვან დასახლებულ ადგილებს და „შინა შენებულებებს“, აღნიშნავს მნიშვნელოვან გზებს, შავშეთის ბუკის საცხოვრებელ ადგილს, სრულიად შავშეთის და არტანუჯის ეპისკოპოსის ყოფილ რეზიდენციას.

არტანუჯს საზღვრავს - „აღმოსავლით მთანი ყაღნუ-ქუაყრილისა, და გარდავლენან გზანი მათა ზედა კოლა-არტანს; სამხრით ფანასკეტსა და არტანუჯს შორის ჩამოსული მთა ყაღნუს მთიდან დასავლეთად, ვიდრე ჭოროხამდე; დასავლით მთა მცირე არტანუჯსა და ჭოროხს შორის, და თუთი მდინარე ჭოროხი; ჩდილოთ კლდე შავშეთსა და არტანუჯს შორის“.

არტანუჯის ბუნების შესახებ ვახუშტი სწერს: „არამედ არს არტანუჯი ვენახიანი, ხილიანი; მარცვალნი ყოველნივე ნაყოფიერებს, ვითარცა სხვათა ამთ ადგილებთა; ტყიანი ფრიად და მცირე-ველოვანი. პირუტყენი, ნადირნი, ფრინველნი და თევზნი მრავალნი. პავით მშუენი, კეთილი, ზამთარ თბილი და დიდთოვლიანი, ზაფხული არა ევოდენ ცხელი“.

იხილავს რა მდინარე არტანუჯს, ვახუშტი ჩერდება ქალაქ არტანუჯზე: „ამ წყლის შესართავის ზეით, წინათქმულს წყალზედ, არს არტანუჯი, ქალაქი მცირე და ციხე მაგარი, კეთილშენი. ეს ალაშენა გორგასალ, შემდგომად შემშუსრა ერუმ, მერმე ალაშენა და განაახლა აშოტ კურაპალატმან, ალაგო ციხესა შინა ეკლესია პეტრე-პაველესი“...

ამ მხარის წარსული და აწმყო პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ ვახუშტი სწერს: „არამედ არტანუჯი, შავშეთი და ლივანის-ხევი არს ოძრახოსავე წიდი, და საერისთო მისი, ხოლო შემდგომად იქმნა არტანუჯს ერისთავი სხვა, შავშეთი, და აწ უხისთ თვისთვის ბუკი, ოსმალნი“.

ისპირის ხეობის საზღვრავს: „აღმოსავლეთით ისპირის მთებიდან ჩამოსულნი მთანი, სამხრით-ჩრდილოეთიდან ისპირისა, ტაოსა და ლივანის-ხევის შორისნი; ხოლო სამხრით მხდერის მთა ისპირისა, ისპირსა და თორთომის ხეობას შორისი, და გარდავლენან გზანი თორთომის ხეობისა შინა; ვგრეთვე დასავლით მხდერის მთანი, ისპირის მთებიდან ჩამოსულნი, ისპირისავე მდინარემდე, სამხრით ჩრდილოეთიდან, ბაიბურდსა და სპერის შორისი, და არიან მთანი ესენი ტყიანი, კლდიანი, და მივლენან გზანი ბაიბურდს; ჩდილოთ მხდერის მთა ისპირისავე, რომელი მდებარებს აღმოსავლეთიდან დასავლეთად, ფორჩხის ხეობასა და ისპირის შორისი, და გარდავლენან მას ზედა გზანი ფორჩხას, და არს მთაცა ესე თოვლიან-ტყიანი, ვითარცა პირისპირი ამისი ისპირის მთა“.

„ხოლო ისპირის ხეობის მდინარე გამოსდის ბაიბურდს ზეით, ტრაპიზონის მთას, სივრძით არს ტრაპიზონის მთიდან ჭოროხამდე, მოდის დასავლეთიდან აღმოსავლეთად, ხევისა კლდიანსა და ქვიანსა შინა. ამ ისპირის მდინარეს მოერთვის სამხრით მთორთომის ხეობის მდინარე. და ამ თორთომის მდინარის შესართავს ზეით, ისპირის მდინარის კედელზედ, არს ქალაქი მცირე ისპირა... ამას ზეით მოერთვის კვლად ისპირის მდინარეს საქართველოს-ყელის მდინარე, ანუ გურჯი-ბოლაზისა...“

„გარნა არს ესე ისპირის ხეობა ქარაფოვან-კლდიანი, დედუ-ღრატოიანი, იწრო, ტყიანი, მცირე ველოვანი, მოსავალ-ნაყოფიერი, ვითარცა ადგსწერეთ ლივანის-ხევი, ყოველითა ნაყოფიერებითა და მარცვლითა. პავით ზაფხულს ფრიად ცხელი, არამედ აქუს მთიანი და აგარაკნი ახლორებს. ზამთარი თბილი, კაცენ თუწყე მგზავსნი სამცხისანი, და აწ მოჰმადიანნი სრულიად, ენითა ქართულითა და ზნითა ოსმალთა“.

თორთომის ხეობას საზღვრავს: „აღმოსავლით მთა თორთომისა, თორთომსა და ტაოს შორის... ხოლო სამხრით მხდერის მთა ირავლუ-დევაბონისა, რომელი ვგრეთვე უტყუო არს; დასავლით მთა შიფაქლუსა, თორთომსა და ქართლის-ყელს შორის... ჩდილოთ მხდერის მთა ისპირისა, ამასა და ისპირის შორის, და გარდავლენან გზანი ისპირის ხეობისა შინა“.



„თორთომის მდინარის კიდე, ხახულის ზეითამდე, ანუ ციხემდე, ვენახოვანი, ხილიანი, მოსავლიანი, ხოლო მთის კერძონი ყოველგნით, ვითარცა ჯავახუთი აღვსურეთ, გარნა არს მოსავლიანი, პირუტყვიანი, ფრინველიან-ნადირიან-თევზიანი, შემოკობილი მით და ბართთ. კაცნი ვითარცა მესხნი, და აწ სრულიად მოამადიანნი, ენითა ქართულითავე, არამედ უმბობენ თურქულსა.“

„თორთომის მდინარის ხეზე, შიფაქლუს მთის კალთას, არს ეკლესია-მონასტერი ხახულისა დიდი, გუნბათიანი, დიდ-შენიერად გებული, შეენიერს, კარგს ადგილს. ეს აღაშენა დავით კურადპალატმან... აქვე არს ეკლესია ფრიად შეენიერი, დიდ-შენი, რომელი აღაშენა მეფემან დავით არამედ აწ უკმ ცალიერ არიან, და ხატი ამისი არს გულათს, რომელი შეამკო აღმაშენებელმან, მერმე თამარ მეფემან. ამ ხეგს ზეით, თორთომის მდინარეზედ, არს ციხე თორთომისა, მავარი, კლდესა ზედა დიდ-შენებულნი... ამ თორთომის მდინარეს მოერთვიან ხევნი თორთომისა და შიფაქლუს მთიდან, და არიან დაბნები მათ ზედა შენნი, დიდ-მცირენი“.

სამცხე-საათაბაგოს აღწერა მთავრდება ჭანეთის დახასიათებით. მის მდებარეობას და გავრცელებას ვახუშტი განმარტავს შემდეგნაირად: „ხოლო ბაიბურდისა და ფორჩხის სამხრით. ჭანეთის მთას იქით, არს ჭანეთი, და აწ უწოდებენ ლახსავე. არს ესე ქვე შავის ზღვის კიდის წადეგნებით, გონივად ტრაპიზონის საზღვრამდე“ - ხოლო ამის (ქ. ი. ქალაქ რიხას) დასავლეთ ჩამოვარდების მცირე მთა, კინდა ზღვამდე, ჭანეთის მთიდან. და ესე არს საზღვარი საქართველოსი და საბერძნეთისა. აქა არს რკინის-პალო, აქვე არს სატყეველა. აქ აღაშენა მეფემან არჩილ მოწამემან ციხე შემდგომად ყრუს შემოსვლისა... ხოლო მზღერის ჭანეთს: აღმოსავლეთ გონის საზღვარი; სამხრით მთა ჭანეთისა, ფორჩხა-ბაიბურდსა და ჭანეთს შორის; დასავლეთ მცირე მთა იგი ქართლის საზღვარი და ჩდილოთ ზღვა შავი.“

ჭანეთის მდინარეების და დასახლებული ადგილების შესახებ ვითხულობთ შემდეგს: „გონის დასავლეთ მოერთვის ზღვას მდინარე, ჭანეთში გამომდინარე ჭანეთის მთისა... ამ მდინარის იქით არს ხოფჭა, ქალაქი მცირე, ზღვის კიდესა ზედა. აქ მოერთვის მდინარე ხობჭისა, გამომდინარე მისვე მთისა და მომდინარე ვერეთვე, კვალად მოერთვის ზღვას მდინარე, ხობჭას იქით გამომდინარე ჭანეთისავე მთას, რომელი არს ბაიბურდსა და ჭანეთს შორის, და მომდინარე ჩდილოთ კერძოდ. ამ მდინარის დასავლეთ არს ქალაქი მცირე რიხა, ზღვის კიდეზედ. მოერთვის მუნვე მდინარე მისივე ზღვასა, და გამოსდის მასვე მთისა და მოდის ჩდილოთ... ხოლო მთა ჭანეთისა ძეს დასავლიდამ აღმოსავლეთად, მცირედ ჩდილოთ მიწვეით, და მივალს ეიდრე ჭორთხამდე.“

ვახუშტი ახასიათებს აგრეთვე ჭანეთის ბუნებრივ პირობებს საწარმოვო მნიშვნელობის თვალსაზრისით: „მთა ჭანეთისა არს თხემთა უტყვეო და კალთათა ტყიანი, ნადირიანი, გარნა ჭანეთიცა ფრიად ტყიანი, გორა-მთა-ღველიანი, არამედ ხილიანი, ვენახიანი, მარცვლებით მოსავლიანი ბრინჯ-ბანბითურთ, და ნაყოფიერებს ფრიად, პირუტყენი, ნადირნი ფრიად მრავალნი; ფრინველნი და თევზნი ურიცხვანი; მწერნი მრავალნი, ფუტკარი და თაფლი ბევრად. ჰავით ზღვის კიდური ცხელი, მთის კერძონი კეთილპაოვანნი. ზამთარი თბილი, ზაფხული არა გაუძღისი“.

ვახუშტი ახასიათებს მოსახლეობასაც: „კაცნი არიან ხელოვანნი ხის მუშაკობითა და შენებითა ნავთათა, დიდთა და მცირეთა, და სარწმუნოებით აწ სრულიად მოამადიანნი, გარნა მცირედნი ვინმე მოიპოებიან ქრისტეანენი, არამედ იცან კვალად ქართული ენა ვითეთამე“.

ჭანეთის დასახლებული ადგილების და მის „შინა შენებულებათა“ შესახებ ვახუშტი სწერს: „არა არს ციხე, ანუ დაბანი, ანუ აგარანი, რომელსა შინა არა ადგეს საუღარი ანუ ეკლესია, თლიდის ქვით ნაშენნი, ორი ანუ სამი, დიდნი და მცირენი, და ვერეთვე ყოველთა საქართველოსა შინა, რომელნიცა აღვსურენით. კვალად არიან გორა-მთათა ზედა შენნი ეკლესია-საუღარნი, სადაცა ძნად ხედებიან კაცნი, თვინიერ დღესასწაულთა მათთა...“ ამ უკანასკნელის აღნიშვნით, ცხადია, ვახუშტი ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მის დროსაც შენარჩუნებული ყოფილა მრავლად ჭანეთის დამოუკიდებელი ცხოვრების მატერიალური ძეგლები, მიუხედავად მოსახლეობის მასიური და იძულებითი გამამადიანებისა.

ბოლო ვახუშტი დასძენს: „ესე არს აღწერა სამცხე-საათაბაგოსი ჩენილთა ადგილებთა რომელნი იცნობიან რუკასა ზედა ამისსა“.

1735 წლის ატლასში ვახუშტი რვა რუკიდან სამცხე-საათაბაგოს საკუთრივ უთმობს ორ რუკას:

„მ: რუკა არს: ყოვლისა სამცხე საათაბაგოსი, ანუ მესხთა: აზრებით ტრაპიზონ კართ. მცირე წილი აღმოსავლ ჩდილო. ქართლი. იმერეთი და გურია.“

„ზ: რუკა კვლად სამცხე საათაბაგოს: ვითარცა ზემორ მოხაზულ არს ვგრეთვე ეხეც: -

უმჯობესი იგივე არს.“

შემდეგ წლებში უფრო ვრცელ ატლასებში, შემდგარს 19 რუკისგან და ორ გენეალოგიურ ტაბულისგან, შედგენილს ქართულ და რუსულ ენებზე, ვახუშტი ცალკე რუკაზე გამოსახავს ზემო-ქართლს და კლარჯეთს, ანუ სამცხე საათაბაგოს.

ამის გარდა საქართველოს ეს მხარე აღნიშნული აქვს ვახუშტს თავის ატლასების საქართველოს სამეფოს ყველა საერთო რუკებზეც.

საკუთრივ სამცხე-საათაბაგოს რუკებზე აღნიშნულია ყველა გეოგრაფიული სახელწოდებანი, რომელიც მოხსენებული აქვს ვახუშტს თავის აღწერაში. სხვადასხვა ზომის შრიფტით განსხვავებულია შესაბამისად გეოგრაფიულ ადგილთა სახელწოდებანი. ამ მხარის ცალკეული ადგილები მათი სახედრების ფარგლებში შეფარდებულია განსხვავებული ფერებით. უდიდესი შრიფტით არის წარწერილი მთელი ამ მხარის სახელწოდება - „სამცხე საათაბაგო“. უფრო მცირე შრიფტით - ამ მხარის ცალკეული ადგილები: „ჭანეთი ლახია, ბაიბურთის ალაგი, გურჯი ბოღაზი, ისპირის ხეობა, ბორჩხის ხეობა, სახული, თორთომის ხეობა, ოლთისი, ნარიზანის ალაგი, ტაოს კარი, ლიგანის ხეობა, შავშეთი, აჭარა, ზემო ქართლი სამცხე, ჯავახეთი, ერუშეთი, არტაანი, არტანუჯი, კოლა, ბახიანი, ყაღზევანი, კარი ყარსის ადგილი.“

რუკაზე ცალკე ვინიეტში გამოხატულია სამცხე-საათაბაგოს ღერბი.

ასეთია მოკლედ საქართველოს სამეფოს სამხრეთ-დასავლეთი მხარის, - ზემო-ქართლის და კლარჯეთ-ჭანეთის, ანუ სამცხე-საათაბაგოს, გეოგრაფიული სახე, მრავალმხრივ და ზუსტად ასახული ვახუშტი ბაგრატიონის მიერ ამ ორასი წლის წინათ, 1735-1745 წლებში.

უნებლეთ იბადება ამ მხარის დღევანდელი გეოგრაფიული სახის საკითხი. იგი საკმარისად ნათლად აშკარადება უკანასკნელ ხანს გამოცემულ რუკებზე. ესენი უდავოდ და ყველასათვის დამაჯერებლად ამჟღავნებენ იმ ღრმა ცვლილებებს, რაც საქართველოს სამხრეთ-დასავლეთმა მხარემ განიცადა ვახუშტის შემდეგაც, და ეს რუკები, ამასთანავე ერთად, გეოგრაფიულ სახელწოდებათა თავისი ჩამომავლობით წარმოადგენენ ქართველი ერის მწარე ისტორიულ წარსულის უკვდავ ძეგლებს.

აკადემიკოსი **პლ. ჯანაშიაშვილი** (ხელრთვა)

7 იანვარი, 1946 წელი

საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივი (II), ფონდი 14, აღწერა 20, საქმე 353, ფურცლები 1-14. მანქანაზე ნაბეჭდი. დედანი. აღექსანდრე ჯავახიშვილის ხელით ნასწორები ტექსტი და მისივე ხელრთვა (პირველად გამოქვეყნდა: ვახტანგ გურული, ლევან ჯიქია. აკადემიკოს ალექსანდრე ჯავახიშვილის ნაშრომი „სამხრეთ-დასავლეთი საქართველო ვახუშტი ბაგრატიონის აღწერილობით“- ამცნე“. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოლოგიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, №1, 2012, გვ. 118-125; ასევე გამოქვეყნებულია: ვახტანგ გურული, ლევან ჯიქია. ტაო-კლარჯეთის, ლაზეთისა და აჭარის საკითხი 1812-1953 წლების საერთაშორისო ურთიერთობებში. თბილისი, 2013, გვ. 138-147).

დოკუმენტი №39. პროფესორ სერგი ჯიქიას მიერ 1946 წლის 29 იანვარს გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული გამოხმაურება აკადემიკოსების სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის წერილზე „თურქეთისაღმე ჩვენი კანონიერი პრეტენზიების შესახებ“

თურქების მიერ მიტაცებული ქართველთა მკვიდრი მიწა-წყლის შესახებ

თურქთა მომთაბარე ტომი, ისტორიაში ცნობილი ოსმალთა თურქთა სახელწოდებით, აღმოსავლეთიდან მოვიდა და შესცვალა სულჯუკი თურქები, რომელნიც თავის მხრივ პირველად XI საუკუნეში გამოჩნდნენ მცირე აზიაში. ეს ტომი საქართველოში შემოჭრას იწყებს XV საუკუნიდან.

საქართველოს მაშინ კიდევ ვერ მოესწრო წელში გამართულიყო მონღოლების გამანადგურებელ შემოსევათა შემდეგ და დასუსტებული იყო შინაგანი პოლიტიკური არეულობის გამო. ამიტომ ხანგრძლივი და სისხლიმღვრელი ომების შედეგად ოსმალთა თურქებმა შესძლეს თავიანთი ჭარბი ძალებით XVI საუკუნის მეორე ნახევარში ხელში ჩაეგდოთ სამხრეთი საქართველო და იქ დაპყრობილი ქვეყნის მმართველობის მკაცრი რეჟიმი დაამყარეს.

საქართველოს ამ ნაწილის ხელში ჩაგდებას მომენტთან თურქები შეუდგნენ ქართველთა მთელი ეროვნული ყოფის მეთოდურად აღმოფხვრას, მოსახლეობის გათურქებისა და ქრისტიანული კულტურის მოწინავე ქვეყანაში ისლამის რელიგიის ძალდატანებით დანერგვის გზით. თურქები ნახევრადველურ მომთაბარეთა მორალით ხელმძღვანელობდნენ და თავიანთ განზრახვათა განსახორციელებლად არავითარ საშუალებას არ ერიდებოდნენ. თუ რამდენად მკაცრი იყო ეს დონისძიებანი, ამაზე შეგვიძლია წარმოდგენა ვიქონიოთ იმის მიხედვით, რომ საქართველოს დაპყრობილი ოლქების მრავალი მცხოვრებნი, მშობლიურ წრეს მოწყვეტილნი, მასობრივად გარბოდნენ დასავლეთ და აღმოსავლეთ საქართველოში, რათა „თავი ესხნათ თურქების მიერ ფანატიკური დევნისაგან“ (დ. ბაქრაძე, არქეოლოგიური მოგზაურობა გურიასა და აჭარაში, გვ. 119) და შექმლებისდაგვარად გადაერჩინათ თავიანთი კულტურის ძეგლები (ხელნაწერები, ხელოვნების საგნები და სხვ.). ცნობილია, მაგალითად, რომ სამცხის ზარზმის მონასტრიდან პატრიოტთა ჯგუფმა თავისი მშობლიური მხარე მიატოვა, თან წაიღო ეროვნული კულტურის ძეგლები და თავშესაფარი პიპია გურიაში, შემოქმედის მონასტერში (დ. ბაქრაძე, იქვე).

ამ მკაცრ პოლიტიკას, რომელსაც ოსმალთა ხელისუფლანი მხარის გასათურქებლად და გასამაჰმადიანებლად ახორციელებდნენ, მოწმობენ ის უცილობელი მონაცემებიც, რომლებსაც შეიცავს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მიერ გამოცემული „საქართველოს ვილაიეთის ვრცელი დაეთარი“. ეს ოფიციალური თურქული დოკუმენტი თურქხელისუფალთა წარმომადგენლების მიერ არის შედგენილი საქართველოს ახლად დაპყრობილი ნაწილისათვის და ამიტომ წარმოადგენს ობიექტურ წყაროს, საიდანაც შეიძლება ამოღებულ იქნას თურქეთის პოლიტიკის დამახასიათებელი მასალები; დასახლებული პუნქტების ჩამოთვლასთან ერთად იგი შეიცავს აგრეთვე იმ სოფლების გრძელ სიებს, რომლებიც შიშით შეპყრობილ ქართველ მოსახლეობას მიუტოვებია. ექვს გარეშეა, რომ ეს „დაეთარის“ მიხედვით „მოსახლეობისაგან თავისუფალი სოფლები“ იმ ქართველ პატრიოტთა საცხოვრებელი ადგილები იყო, რომლებმაც, ამყობდნენ რა თავიანთი მრავალსაუკუნოვანი კულტურით, ნახევრადველურ მომთაბარეებს თავი აბუჩად არ ააგდებინეს, მიუხედავად უდიდესი მატერიალური და მორალური მსხვერპლისა, თავიანთი მშობლიური ადგილები დასტოვეს და საქართველოს სხვადასხვა რაიონებში გადასახლდნენ. ამ გადასახლების მასშტაბს თუნდაც ის ფაქტი მოწმობს, რომ „მცხოვრებთაგან თავისუფალი სოფლების“ რაოდენობა საქართველოს მარტო იმ ნაწილში, რომელიც „დაეთარშია“ შეტანილი, 300-ს აღწევს!

იმ ძალადობას, რასაც თურქები დაპყრობილ მხარეში სწადიდდნენ, აღნიშნავს XVIII საუკუნის ცნობილი მეცნიერი ვახუშტი ბაგრატიონიც, როცა იგი ამბობს, რომ დაპყრობილი მხარის წარჩინებულ ქართველთა წოდება თურქულ ენაზე გადავიდა, „დამჭირნობისათვის ოსმალთა“ (იხ. ვახუშტი, „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“, გვ. 131).

მაგრამ თურქი ხელისუფლანი პირდაპირი რეპრესიების გარდა, რასაც ქართველი მოსახლეობა სასოწარკვეთილამდე მიჰყავდა, მიმართავდნენ არაპირდაპირი ზემოქმედების ზომებსაც იმისათვის, რომ დაპყრობილი მოსახლეობა იძულებული გაეხადათ ხელი აეღო თავის საუკუნეობრივ ეროვნულ ტრადიციებზე ეს იყო ეკონომიური ზეგავლენა, რაც გამოიხატებოდა აუტონელი გადასახლების შეწყვეთით, რომლებითაც სპეციალურად დაბეგრეს არამუსლიმანი მოსახლეობა. იმავე „დაეთარში“ არის მასალები, რომლებიც ახასიათებენ ხალხის ჩაგვრის ამ ხერხს. „დაეთარის“ მიხედვით, მრავალ სხვა გადასახლდ გარდა, არამუსლიმანი, ამ შემთხვევაში ქართველი მოსახლეობა იხდის კომლობრივ გადასახლდ ვერტოვოდებულ „ისფენჯს“ 25 ახნის ოდენობით, რაც იმ დროის მიხედვით მძიმე ტვირთს წარმოადგენდა განსაკუთრებით იმ მოსახლეობისათვის, რომელიც თავდადებულად იბრძოდა თავისი დამოუკიდებლობის დასაცავად და გადატაცებული იყო მომთაბარეთა ურდოების ხანგრძლივი თავდასხმებით. ამავე დროს კი, მუსლიმანი გაცილებით ნაკლებს იხდიდა: ვერტოვოდებულ „ბენაქს“ და „მუჯერეთს“, 18 ან 12 ახნს. „დაეთარში“ 127, 262, 274, 358, 365 და სხვა ვერდებზე მუსლიმანის ყოველ სახელთან არის სპეციალური აღნიშვნა, რაც მიუთითებს იმაზე, რომ ეს პირი მუსლიმანია და ამიტომ შედავითან გადასახლდ იხდის.

ახვევ მკაცრი იყო თურქეთის პოლიტიკა თურქების მიერ დაპყრობილ მეორე სექტორში - ჭანეთში (ლაზთა ქვეყანაში). დამპყრობი თურქების დაუნებთის მისწრაფებას - ჩაეხშოთ ლაზებში საუკუნეობით განმტკიცებული ეროვნული თვითმყოფობის ყოველგვარი გამოვლინება - ლაზები უპირდაპირდნენ მტკიცე ეროვნულ თვითშეგნებას და, მიუხედავად სრული იზოლაციისა და მშობლიურ მიწა-წყალს მოწყვეტისა, დღემდე შეინარჩუნეს მშობლიური ლაზური ენა. ლაზებისადმი



თურქების მხრივ ზიხლით აღსავსე და ეროვნულად შეურაცხყოფ დამოკიდებულებას მოწოდებს თურქული ანდაზა: „ლაზლარინ თერმონი-მისლიმან იემეზ ონი“, ე. ი. „ლაზური ველამუში მუსლიმანს არ ეტყევაო“ (ნ. მარი, თურქეთის ლაზისტანში მოგზაურობიდან, გვ. 627).

ვუჭირობ, აქ უადგილოდ არ იქნება ცოტა რამ ვთქვათ ლაზთა ტერიტორიული გავრცელების შესახებ. ვეკვ ვარეშეა, რომ ლაზთა ქართველური ტომის ქვეყანა ვრცელდებოდა შავი ზღვის სანაპიროს გაყოფლებით სამხუისნი ვილაიეთამდე ჩათვლით. ამის შესახებ ინგლისელი კონსულის ჯიფორდ პალგრევის ანგარიში, რაც მოყვანილია აკადემიკოს ს. ჯანაშიას და აკადემიკოს ნ. ბერძენიშვილის სტატიაში (იხ. გახეთი „კომუნისტი“, 1945 წ. 14 დეკემბერი) სხვა ფაქტითაც დასტურდება. საქმე ის არის, რომ მსოფლიო სპეციალურ ლიტერატურაში შავი ზღვის სანაპიროს ეწედა თურქული დიალექტი, მათ შორის სამხუისნი ვილაიეთის დიალექტებიც, უსაფუძვლოდ როდია ცნობილი „ლაზურ-თურქული“ სახელწოდებით (გერმანულად – Lazisch – Türkisch, იხ. მაგალითად, პოლონურ პროფესორ ტადეუს კოვალსკის სამომხილო სტატია *Enzyklopädie des islam-ის IV ტომში*, გვ. 996 და სხვ). ცხადია, რომ ანატოლიის ამ ნაწილში გაბატონებული ლაზური ენობრივი სუბსტრატი, ფრიად ქმედითი ფაქტორი იყო, რაც სპეციფიკურ ლაზურ ფილერს აძლევდა ლაზთა ამ ტერიტორიაზე ძალადატანებით გავრცელებულ თურქულ ენას.

ეს გარემოება მოწმობს არა მარტო ლაზთა ტერიტორიულ გავრცელებას აღნიშნულ ფარგლებამდე, არამედ ლაზებისა და საერთოდ ქართველთა ტომების კულტურულ უპირატესობასაც დამკვირვებელ თურქებთან შედარებით.

და მართლაც, ოსმალთ თურქები, რომლებიც აღმოსავლეთიდან დასავლეთში შემოიჭრნენ, ოსმალთა სახელმწიფოს ჩამოყალიბების პერიოდისათვის მომთაბარე ტომების ტიპური წარმომადგენლები იყვნენ. მცირე აზიისა და კავკასიის ცივილიზებულ სახელმწიფოებს რომ შეეჯახნენ, ისინი ცვცხლითა და მახვილით ანადგურებდნენ მაღალი კულტურის მქონე ხალხებს. თურქებმა ჯერ ბიზანტია დაამარცხეს და შემდეგ ხელი მიჰყვეს საქართველოს, ჩამოაშორეს იგი ევროპას და გაბატონდნენ მის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში. დაპყრობილ ქართველთა ტომები თურქებმა შემდეგში განეთარბნის გზა დაუხშეს და ფეხი მოიკიდეს ანატოლიაში, მაგრამ ამავე დროს არ შეიძლებოდა, რომ მათ არ განეცადათ ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი მატერიალური და სულიერი კულტურის კეთილმოყველი გავლენა. ამ მდგომარეობის დამახასიათებელ ფაქტებს არაერთხელ მიუპყრიათ ყურადღება სპეციალურ ლიტერატურაში. ცნობილია, მაგალითად, რომ სოფლის მეურნეობის დარგში ქართველებმა, მათ შორის ლაზებმაც, რომლებმაც იმ დროისათვის მაღალი სამიწათმოქმედო კულტურა მქონდათ, აღმოსავლეთ ანატოლიაში გავრცელებს, როგორც ვარკვეული სასოფლო-სამეურნეო კულტურები, ისე მიწის დამუშავების გაუმჯობესებული მეთოდები. უეჭველია, რომ ჩრდილო-აღმოსავლეთ ანატოლიის ერთ-ერთი უმთავრესი სასოფლო-სამეურნეო კულტურა – სიმინდი – ანატოლიის ამ ნაწილის თურქებმა ლაზებისაგან გადაიღეს. ამაზე მიუთითებს სიმინდის თურქული სახელწოდება – „ლაზოთი, ლაზუთი“, რაც ნიშნავს „ლაზურ მცენარეს“ (იხ. რევაზუსი, თურქულ-ინგლისური ლექსიკონი, გვ. 1619. ამედ ვეფოვაშაში, ლეხჯეი ოსმანი, გვ. 748 და შრომა „სიტყვა lazut-ის წარმოშობისათვის“ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის უწყებებში, ტ. V, №2, V. 227).

აკადემიკოსმა ი. ა. ჯავახიშვილმა „საქართველოს ეკონომიურ ისტორიაში“ გამოარკვია, რომ მთელი რიგი გაუმჯობესებული სასოფლო-სამეურნეო იარაღები (გუთანა, ჯილა) აღმოსავლეთ ანატოლიის თურქებმა ქართველებისაგან გადაიღეს (იხ. დასახელებული შრომა, I, გვ. 248 და სხვ.).

თურქების მიერ უსამართლოდ მიტაცებული სამცხის მხარე საქართველოსათვის იყო არა „განაპირა მხარე, არა პერიფერია, არამედ ცენტრ“ ქართული კულტურისა. ამ კულტურის შემოქმედნი, რომელთა სახელგებობაც დაკავშირებულია ხალხური და ფილოსოფიური შემოქმედების შედეგებით, სამხრეთ საქართველოდან წარმოსდგებოდნენ. აქვე იქმნებოდა ქართული ეროვნული ხუროთმოძღვრების ცნობილი შესანიშნავი ძეგლები, რომლებიც მოსულ დამპყრობთა მიერ მოსპობის, დანგრევისა და აბუნად აგდების საგანი ვახდნენ. აკადემიკოსი ნ. ი. მარი, რომელიც ამ მხარეებში 1904 წელს მოგზაურობდა, ყველგან ხედავდა მატერიალური კულტურის ქართული ძეგლების „უღმობოდ გაპარცულ კედლებს“; ეკლესიები გადაკეთებული იყო მენეთებად. „მუჰმინის ძახილი ბერთის საყდრთან, ამბობს აკადემიკოსი ნ. მარი, ახლა მე იმდენად სვედის მომგვრელი არ მჩქენება, რამდენადაც დაბისა და ჯმერქის ეკლესიების, სამონასტრო ტაძრების ახლანდელი უბადრუკი მდგომარეობა“ („მოგზაურობის დღიური“, გვ. 182). ისტორიის უკუღმართობაზე, თურქთა ძალადობაზე აკადემიკოსი ნ. ი. მარი „მოგზაურობის დღიურში“ ამბობს: „სვედის მომგვრელი იყო ოდესღაც ცოცხალი ქრისტიანობის ბურჯზე ისლამის გამარჯვებული ხმის მოსმენა... იმათი დღილი



შვილები, ვინც ქრისტიანობის ეს ძეგლები ააგო, მისწრაფოდნენ მაღლა ტაძარში, რათა თავიანთი
ლოცვა აღველინათ ისეთ ფორმებში, რაც უცხოა ბერძნის მშენებელთათვის. ჯედის მომგვრელი იყო
ამის დანახვა, სვედის მომგვრელი იყო ამის მოსმენა“ (გვ. 182).

სურათი ნათელია. უაღრესად განვითარებული კულტურისა და აყვავებული ეკონომიური
კეთილდღეობის ქვეყანა გაპარტახებულ იქნა და „დღემდე გაყინულია გაველურებაში“. ამ ქვეყნის
ასეთი საგალალო მდგომარეობა (მისი დაპყრობის შედეგად) მკაფიოდ დაახასიათა მისმა საუკეთესო
მცოდნემ აკადემიკოსმა მარმა: „მალე (ქართველებისაგან მოწყვეტის შემდეგ) ამ მხარეში
ნაიფერფლა და ჩაქრა ყოფილი ცხოვრების უკანასკნელი შუქი, და ახალი შუქი აღარ
ამოდგინებულა. მხარის კულტურული ცხოვრება ჩაკედა. ადამიანი მოკვდა“ (6. მარი, ბათუმი-
არტანი-ყარსი, გვ. 47).

მაგრამ თურქთა ტყვეობაში მყოფ ქართულ მოსახლეობაში მუდამ იყვნენ პატრიოტთა
ცალკეული ჯგუფები, რომელთა გულშიც დღეოდა ჩაუქრობელი სიყვარული სამშობლოსადმი. ეს
პატრიოტები, ამა თუ იმ საშუალებით, თაობიდან თაობას გადასცემდნენ მშობლიურ მეტყველებასა
და მშობლიურ დამწერლობას. ერთთუნი როდი იყო იმის შემთხვევაში, რომ ისმებოდა მიტაცებულ
ტერიტორიებზე სკოლებში მშობლიური ენის შესწავლის შემოღების საკითხი. მაგრამ ასეთ ცდებს
სმოლტონის მთავრობა ყოველთვის ახშობდა. ცნობილია, თუ რა ბედი წაიხს ფაიკეფენდის,
რომელმაც სცადა „გამოგონებინა ჭანური (ლაზური) ანბანი: იგი გადაასახლეს და საყრობიღეში
ჩასვეს, მისი სახლი განხრეკეს და მთელი მისი ნაშრომები და წიგნები დასწვეს“ (6. მარი,
მოგზაურობიდან, გვ. 626). მშობლიურ ენაზე დაბრუნების ასეთსავე ცდებს ეკუთვნის სტამბოლში
ქართული ენის სახელმძღვანელო გამოცემის ცდა. თურქეთის ქართველთა ჯგუფის ინიციატივით,
ჩვენი საუკუნის 20-იან წლებში, ბავშუებისათვის ქართული ენის სასწავლებლად ქართველ
კეთილშეკეთა კოლონიამ სტამბოლში სახელმძღვანელო გამოსცა. მაგრამ საქმე იმით დამთავრდა,
რომ მთავრობამ ძირშივე აღკვეთა ეს ღონისძიება, რომელიც მიმართული იყო ქართული ეროვნული
თვითშეგნების გაღვიძებისაკენ.

თურქეთის ქართველთა სიყვარულს სამშობლოსადმი შემდეგი ფაქტიც მოწმობს: სტამბოლში
შეხვედი ერთ შუახის ქართველ მამადიანს, რომელიც ცენტრალურ ანატოლიაში ცხოვრობდა და
საქართველოში არასოდეს არ ყოფილა. მას თავისი მამისაგან ესწავლა ქართული კითხვა და
მოგზებრებიანა რამდენიმე ქართული წიგნის წაკითხვა. -მას აინტერესებდა საქართველო და მისი
ისტორია და დიდი სურვილი ჰქონდა საქართველოში წამოსულიყო. მე სახსებით დავერწმუნე მისი
სურვილის გულწრფელობაში, როდესაც მან ჯიბიდან ამოიღო ქართული წიგნი, აკაი წერეთლის
„ჩვეული ლექსები“. რამდენიმე ლექსი მას ზეპირად დავესწავლა.

დღეს, როდესაც დემოკრატია უდიდესი გამარჯვება მოიპოვა ფაშისმზე, რომელიც ხალხთა
მონობასა და ნაგვარს ქადაგებდა, - საქართველოს, ჩვენი აზრით, იმდენად ის კი არ სჭირდება,
რომ დამტკიცოს თავისი შურეველი უფლებები სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს
მშობლიურ, მიტაცებულ მიწა-წყალზე, რამდენადაც ის, რომ მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის
წინაშე აღიშაღლოს ხმა თავის სამართლიან პრეტენზიებზე თურქეთის მიმართ.

ამ პრეტენზიათა სამართლიანობა კარგად ცნობილია ობიექტურად მოაზროვნე კულტურული
სამყაროსათვის, ყველა თავისუფლებისმოყვარე ხალხისათვის და ყველაზე უკეთესად თვით
თურქებისათვის, რომლებიც ასე უსახელოდ გამოვიდნენ დემოკრატიული ქვეყნის დიდი ომიდან
კულტურისა და პუბლიცის მტრების წინააღმდეგ. საქართველოს მიწა-წყლის დაპყრობა არც
იმდენად შორეულ წარსულში მოხდარა. თურქებმა ან მოსკვს მშობლიური ადგილებიდან
განდევნეს მთელი ხალხები. მაგრამ ქართველმა ხალხმა შესძლო არათუ შეენარჩუნებინა თავისი
ფიზიკური არსებობა და სახელმწიფოებრიობა, არამედ კიდევ გავერძელებინა მრავალსაუკუნოვანი
კულტურით დაგვირგვინებული ტრადიციები თავისი წინაპრებისა, რომლებიც დიდ შემოქმედებით
მუშაობას ეწეოდნენ სწორედ იმ პროვინციებში, ახლა რომ მოწყვეტილი არიან საქართველოს.
საქართველო სისხლნაცრეულად დაინტერესებულია ამ პროვინციების მიღებით და კიდევაც უნდა
მიიღოს ისინი.

ს. ჯიქია

გაზეთი „კომუნისტ“, 1946, 29 იანვარი, №21, გვ. 3 (გამოქვეყნებულია: ჯაბა სამუშია. იდეოლოგიური კამპანია
(საბჭოთა კავშირის პრეტენზიები თურქეთისადმი 1945-1953 წლებში). თბილისი, 2003, გვ.46-52; ვახტანგ გურული,
ლევან ჯიქია. ტაო-კლარჯეთის, ღაზეთისა და აჭარის საკითხი 1812-1953 წლების საერთაშორისო
ურთიერთობებში. თბილისი, 2013, გვ. 148-155).

დოკუმენტი №40. პროფესორ სერგი ჯიქიას მიერ 1946 წლის 29 იანვარს გაზეთში „Заря Востока“ გამოქვეყნებული წერილი „Об отторгнутых турками коренных грузинских землях“
Об отторгнутых турками коренных грузинских землях

Пришедшее с Востока на смену сельджукиским туркам, – появившимся, в свою очередь, в Малой Азии впервые с XI века, – кочевое турецкое племя, известное в истории под названием османских турок, начинает вторгаться в Грузию с XV века.

В результате длительных и кровопролитных войн с Грузией, ещё не успевшей оправиться от опустошительных монгольских нашествий и ослабшей в силу внутренних политических неурядиц, османским туркам своими превосходящими силами удаётся во второй половине XVI века захватить Южную Грузию и установить здесь свой жестокий режим управления завоеванной страной.

С момента овладения этой частью Грузии турки приступили к методическому искоренению всего национально быта грузин путём отуречения населения и насильственного внедрения в передовой стране с христианской культурой исламской религии. Руководствуясь моралью полудиких кочевников, турки для осуществления своих намерений не пренебрегали никакими средствами. О степени жестокости этих мероприятий можно судить по тому обстоятельству, что огромное число оторванных от родной среды жителей завоеванных грузинских областей прибегало к массовому бегству в Западную и Восточную Грузию, „опасаясь от фанатического преследования турок“ (Д. Баκραдзе, Арх., Путешествие по Гурии и Аджаре, стр. 119) и спасал, по возможности, памятники своей культуры (рукописи, предметы искусства и пр.). Известно, напр., что группа патриотов из Зарзмского монастыря в Самцхе покинула свой родной край и, взяв с собой памятники национальной культуры, нашла убежище в Гурии, в Шемокмедском монастыре (Д. Баκραдзе, там же).

Об этой жестокой политике, проводившейся османскими властями для отуречения и обращения страны в ислам свидетельствуют и те неопровержимые данные, которые содержатся в изданном Академией наук Грузинской ССР „Пространном реестре Джорджостанского вилайета“. Этот официальный турецкий документ составлен представителями турецких властей для вновь завоеванной части Грузии и в такой же мере является объективным источником, откуда можно черпать материалы, характеризующие турецкую политику; он содержит, наряду с перечнем населенных пунктов, также и длинные списки селений, покинутых бежавшим в панике грузинским населением. Вне сомнения, что эти, по „Реестру“, „свободные от поселения деревни“ были местожительством тех грузинских патриотов, которые, гордясь своей многовековой культурой, не дали полудиким кочевникам глумиться над собой и, несмотря на огромные материальные и моральные жертвы, оставили свои родные места и переселились в разные районы Грузии. О размерах этого переселения говорит тот факт, что количество „свободных от поселения деревень“ только для той части Грузии, которая внесена в „Реестр“, доходит до 300!

На насилие, которые чинили турки в стране, указывает и известный учёный XVIII века Вахушти Багратиони, когда он говорит, что словосие знатных грузин завоеванного края перешло на турецкий язык „в результате угнетения со стороны османских турок“ (см. Вахушти, Описание Царства Грузинского, стр. 131).

Но помимо прямых репрессий со стороны турецких властей, доводивших грузинское население до отчаяния, применялись ещё косвенные меры воздействия для того, чтобы заставить покорённое население отказаться от своих вековых национальных традиций. Это – экономический нажим, выражавшийся во внимании непосильных налогов, специально наложенных на немусульманское население. В том же „Реестре“ имеются данные, иллюстрирующие этот приём угнетения народа. По „Реестру“, помимо других многочисленных налогов, немусульманское, в данном случае грузинское, население платит недымный налог, т. н. „испендж“ в размере 25 ахчей, что по тому времени было тяжёлым бременем, особенно для населения, самоотверженно борвшегося за свою независимость и разорённого продолжительными нашествиями кочевых орд. А между тем, мусульманин платил значительно меньше: т. н. „бенак“ и „мюджерред“ в 18 или 12 яхчей. В „Реестре“, на страницах 127, 262, 274, 358, 365 и др., под каждым мусульманским именем имеются специальные отметки, указывающие на то, что данное лице является мусульманином и поэтому оно платит

льготный налог.

Такой же суровой была турецкая политика в другом завоеванном турками секторе Грузии (стране лазов). Упорному стремлению завоевателей-турок задушить в лазах всякое проявление веками упроченной национальной самобытности лазы противопоставили твёрдое национальное самосознание и несмотря на полную изолированность и оторванность от родных земель сохранили и по сей день родной лазский язык. О презрительном и национально-оскорбительном отношении турок к лазам свидетельствует турецкая поговорка: „лазарын термони – мислиман Йемез они“, т. е. „лазского киселя – мусульманину есть нельзя“ (Н. Марр, Из поездки в Турекций Лазистан, стр. 627).

Здесь, думаю, кстати будет сказать немного и о территориальном распространении лазов. Вне сомнения, что страна картвельского племени лазов простиралась вдоль Черноморского побережья до Самсунского вилайета включительно. Свидетельство английского консула Джиффорда Палыгрева на этот счёт, приведённое в статье акад. С. Джанашиа и акад. Н. Бердзенишвили (см. газ. „Комунисти“ от 14/XII, 1945 г.), подтверждается ещё и другим фактом. Дело в том, что не без основания все турецкие диалекты Черноморского побережья, включая и диалекты Самсунского вилайета, в мировой специальной литературе известны под названием „лазско-турецких“ (по-немецки – Lazisch-Türkisch, см. напр., обзорную статью польского профессора Талеуша Ковальского в IV т. Enzyklopädie des Islam, стр. 996 и др.). Ясно, что лазский языковой субстрат, доминирующий в этой части Анатолии, явился весьма действенным фактором, придавшим специфическую лазскую окраску турецкому языку, насильно распространённому на этом участке лазской территории.

Это обстоятельство говорит не только о территориальном распространении лазов до указанных пределов, но и о том культурном превосходстве лазов и, вообще, картвельских племён сравнительно с завоевателями-турками.

И действительно, турки-османы, вторгнувшись с Востока на Запад, к периоду организации османского государства были типичными представителями кочевых племён. Они, столкнувшись с цивилизованными государствами Малой Азии и Кавказа, предавали огню и мечу народы, обладавшие высокой культурой. Разбив сперва Византию, турки принялись за Грузию и, изолировав её от Европы, водворились в её юго-западной части. Прегладив завоеванным картвельским племенам путь к дальнейшему развитию и осев в Анатолии, турки в то же самое время не могли не испытать благотворного влияния многовековой материальной и духовной культуры грузинского народа. Факты, иллюстрирующие это положение, не раз обращали на себя внимание в специальной литературе. Известно, например, что в области сельского хозяйства грузины, в том числе и лазы, имея высокую для того времени земледельческую культуру, являлись распространителями как определённых сельскохозяйственных культур, так и усовершенствованных методов обработки земли в Восточной Анатолии. Несомненно, что одна из главных сельскохозяйственных культур северо-восточной Анатолии, кукуруза была заимствована турками этой части Анатолии у лазов. На это указывает турецкое название „кукурузы“ – „лазоти, лазут“, что значит „лазское растение“ (см. Редхаус, турецко-английский словарь, стр. 1619. Ахмед Вефик-паша. Лехдже – и османи, стр. 748 и работу „К происхождению слова Lazut в Сообщениях Академии наук Грузинской ССР, т. V, №2, стр. 227).

Акад. И. А. Джавахишвили в своей „Экономической истории Грузии“ установил, что ряд усовершенствованных сельскохозяйственных орудий („гутани, джилга“) турки восточной Анатолии заимствовали у грузин (см. назв. труд, I, стр. 248 и др.).

Несправедливо захваченная турками Самцхийская страна была для Грузии „же окраиной, не периферией, а центром“ грузинской культуры. Создатели этой культуры, с именами которых связаны шедевры художественного и философского творчества, происходили из Южной Грузии. Здесь же создавались всемирно известные замечательные памятники грузинского национального зодчества, которые стали предметом уничтожения, разрушения и глумления со стороны пришедших завоевателей. Путешествовавший в 1904 году в этих краях акад. Н. Я. Марр видел везде „обобранные безжалостно стены“ грузинских памятников материальной культуры: церкви передельвались в мечети. „Зов муздина у бертинской церкви, – говорит акад. Н. Марр, – сейчас мне кажется не столь грустным, как настоящее жалкое состояние дабинской и джмеркской церквей, монастырских храмов“ (Дневник поездки, стр. 182). О превратности истории, о турецком насилии говорит акад. Н. Я. Марр в „Дневнике поездки“: „Было грустно слышать на твердые некогда живого христианства торжествующий голос ислама... Родные дети тех, кой соорудили эти памятники христианства, спешили вверх в храм изливать свое молитвенное настроение в формах, чуждых строителям Берты. Грустно было смотреть, грустно было слышать“ (стр. 182).

Картина ясна. Страна высоко развитой культуры и цветущего экономического благосостояния



подверглась опустошению и „по сей день пребывает в застывшей одичалости“. Такое плачевное состояние страны (в результате её захвата) ярко охарактеризовано лучшим знатоком её, акад. Марром: „Вскоре (после отторжения от Грузии) в крае догорели и погасли последние лучи былой жизни, и не занялось зари с новыми лучами. Умерла культурная жизнь края. Умер человек“ (Н. Марр, Батум, Ардаган, Карс, стр. 47).

Но среди пребывающего в турецком плену картвельского населения всегда находились отдельные группы патриотов, в сердцах которых горела немеркнущая любовь к родине. Эти патриоты тем или иным способом передавали из поколения в поколение родную речь и родную письменность. Не единичны случаи постановки вопроса о введении в школах на отторгнутых территориях изучения родного языка. Но также попытки всегда подавлялись султанским правительством. Известна участь лаза Фаик-эфенди, пытавшегося „изобрести чанский (лазский) алфавит: его выслали и заточили в тюрьму, дом его был обыскан, и все его работы и книги сожжены“ (Н. Марр. Из поездки, стр. 626). К такого же рода попыткам, вернуться к родному языку, относится и попытка издания учебника грузинского языка в Стамбуле. По инициативе группы турецких грузин, в 20-х годах нашего века для обучения детей грузинскому языку колонией грузинских католиков был издан учебник в Стамбуле. Но дело кончилось тем, что правительство в корне пресекло это мероприятие, направленное к пробуждению грузинского национального самосознания.

О любви турецких грузин к родине свидетельствует и следующий факт: мне довелось встретить в Стамбуле одного грузина-мусульманина средних лет, жившего в Центральной Анатолии никогда не бывавшего в Грузии. Ему, научившемуся у своего отца грузинской грамоте, удалось прочитать несколько грузинских книг. Интересуясь Грузией и её историей, он выражал сильное желание переехать в Грузию. Я полностью убедился в искренности его желания, когда он из-за пазухи достал грузинскую книжку „Избранные стихи“ поэта Акакия Церетели, несколько стихотворений которого, оказалось, он знал наизусть.

Сегодня, в столь знаменательные дни великой победы, одержанной демократией над всемирным фашизмом, проповедывавшим рабство и угнетение народов, – Грузии, по-нашему, следует не столько доказывать свои непрорекаемые права на оторгнутые родные земли Южной и Юго-Западной Грузии, сколько возвысить свой голос перед мировым общественным мнением о своих справедливых претензиях к Турции.

О справедливости этих претензий хорошо известно всему объективно мыслящему культурному миру, всем свободолобивым народам и лучше всего самим туркам, так бесславно вышедшим из великой войны демократических стран против врагов культуры и гуманизма. Захват грузинских земель произошёл не в столь давно минувшие времена. Целые народы либо уничтожены, либо изгнаны турками из своих родных мест, но грузинский народ сумел не только сохранить своё физическое существование и государственность, но и продолжить увенчанные многовековой культурой традиции своих предков, ведших большую творческую работу, именно в оторванных ныне от Грузии провинциях. Грузия кровно заинтересована в получении этих провинций, и она должна их получить.

С. Джикия

Газета „Заря Востока“, 1946, 29 января, №21, стр. 3 (გამოქვეყნებულია: ვახტანგ გურული, ლევან ჯიქია, ტოლკარჯეთის, ლაზეთისა და აჭარის საკითხი 1812-1953 წლების საერთაშორისო ურთიერთობებში. თბილისი, 2013, გვ. 155-161).

დოკუმენტი №41. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის უფროსი მეცნიერ თანამშრომლის დ. ზაგრაივის მიერ 1946 წლის 3 მარტს გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებული გამოსმაურება სიმონ ჯანაშიას და ნიკო პერძენილის წერილზე „თურქეთისადმი ჩვენი კანონიერი პრეტენზიების შესახებ“

**თურქეთის ნაციონალური რაიონების მიმე
მდგომარეობის შესახებ**

აკადემიკოსების ს. ჯანაშიას და ნ. პერძენიშვილის ისტორიულად დასაბუთებულ წერილში



„თურქეთის მიმართ ჩვენი კანონიერი პრეტენზიების შესახებ“ ჩამოყალიბებულია ქართველ ხალხის სამართლიანი მოთხოვნა, რომ მას დაუბრუნდეს საქართველოს ძველსიძველი ტერიტორიები, რომლებზეც ქართველ ხალხს ხელი არასოდეს არ აუღია და არც შეუძლია აიღოს. მიუხედავად თურქთა ბატონობის უზომო სიმძიმისა და მწავრულთა მეცადინეობისა გათურქებისათ დაპირებული ქართველი ტომები, ამ უკანასკნელებმა შესძლეს შეენარჩუნებინათ თავიანთი ინდივიდუალობა და თავიანთი ენა, ხოლო აქა-იქ თავიანთი რელიგიაც. ეს დასტურდება რუს და უცხოელ მეთვალურეთა მრავალი დაკვირვებით, აგრეთვე ოფიციალური თურქული წყაროების აღიარებით.

ცნობილი ინგლისელი კონსული ტრაპიზონში ვ. ჯიფორდ პაღვრევი ამტკიცებს, რომ „თურქულ ენას ისინი (ლაზები) ხმარობენ არა მკვიდრ მოსახლეობასთან ურთიერთობაში, ერთმანეთს შორის კი მხოლოდდამხოლოდ შშობლიურ ქართულ ან მგერულ ენაზე ლაპარაკობენ; სოფლებში ხშირად სხვა ენა არც იციან“.

ქმალისტური თურქეთის დროის ლაზების შესახებ ძირფას მასალებს იძლევა მ. ვ. ფრუნზე, რომელმაც 1921 წელს იმოგზაურა ანგორაში. ასწერს რა ტრაპიზონში ყოფნას, ფრუნზე ამბობს:

„შემდეგ ვხვდებით ლაზებს. ეს თურქეთის მთელი სამხრეთ-აღმოსავლეთი შავი ზღვისპირეთის სოფლის მოსახლეობის მთავარი მასაა. ისინი გამოირჩევიან იმით, რომ თავზე ხურავთ ყაბალახი, რომელიც მოხვეული აქვთ დოღბანდვით... ლაზები გათურქებული ქართველები არიან“.

შენიშვნაში კი ნათქვამია:

„ლაზები არიან ძლიერ გათურქებული ქართველები, რომელთაც თუმიცაღა შეენარჩუნებიათ თავიანთი ენა (რამდენადმე დამახინჯებული), მაგრამ გამუხსლიანებულან“⁵⁶).

1867 წელს „Кавказский календарь“-ში კითხულობთ:

„მათ (ე. ი. ლაზებს) თავი ქართველ ტომად მიაჩნიათ და ერთმანეთში ყველანი ქართულ ენაზე ლაპარაკობენ. თურქული მათ ძალიან ცოტა და ცუდად იციან“⁵⁷).

კ. საღოვსკი 1866 წელს სამხრეთ საქართველოს მოსახლეობის შესახებ სწერდა:

„მიუხედავად ძლიერი გათურქებისა, მოსახლეობაში მიიჩნევენ დარჩენილ ამაბო, რომ ისინი გურჯები ანუ ქურჯების შთამომავლები არიან. თუმიცა ისინი მისდევენ თურქულ ადათს, კარგავენ გეარს და იწოდებიან მამის ან პაპის სახელით, მაგრამ ამჟამად ახსოვთ თავიანთი ქართული გეარები და ბევრ მათგანს, თურქული სახელის გარდა, ქართული გეარიცა აქვს“⁵⁸).

თურქეთში მცხოვრებ ქართველ ტომთა რელიგია ისლამია. მაგრამ ბევრი ავტორიტეტული წყარო აღნიშნავს, რომ ლაზების მამადაინურ რელიგიაში შენარჩუნებულია მრავალი ქრისტიანული ზემჩეულება (პ. მარენცა)⁵⁹. გენერალური შტაბის პოლკოვნიკი ანდრიევსკო სწერს, რომ მუსლიმანი ქართველები თურქებისაგან იმით შეიარჩევიან, რომ მრავალცოდინობას არ სცნობენ⁶⁰). სხვა წყაროები აღნიშნავენ, რომ ლაზები მისდევენ შარიატის მიერ აკრძალულ მეღვინეობას, რომ ლაზისტანის ბევრ ადგილას ყველაზე საპატიო დღეს ახლაც წარმოადგენს თეთრი გიორგის დღე, რაც დროის მიხედვით გიორგი ძღვეამოსილის ქრისტიანულ დღესასწაულს ემთხვევა, რომ სამხრეთ საქართველოს ზოგიერთ სოფელში დღემდე დარჩენილა ასეთი ჩვეულება: ამადღების დღეს გორაკზე ადიან და შეღებულ კერცხებს ავორებენ. დასასრულ, გ. ყახბევი აღნიშნავს, რომ თურქეთის საქართველოში დარჩენილა ზოგიერთი ოჯახი, რომელიც აშკარად აღიარებს ქრისტიანობას. არის ფარულ ქრისტიანთა ოჯახებიც. მაგალითად, ფარხლის ტაძრის მომიჯნავე ქართულ სოფელში 80-მდე ასეთი ოჯახი იყო. ქრისტიანთა კრებულს საკუთარი მღვდელი ჰყავდა, რომლის წოდებაც შემკვიდრებით რჩებოდა ღიბრამეთა გეარს⁶¹).

თურქეთის მთავრობა ყოველწლიურად ცდილობს მიაფუქნოს თანამედროვე ეროვნული პრობლემები. შავი ზღვის ნაპირის ძალიან დიდხანს არსებობდა ვილაიეთი, რომელსაც ჰქონდა ლაზური სახელწოდება ჯანიკი - ჭანთა, ე. ი. ლაზთა ქვეყანა. თურქებმა ვილაიეთის ეს

⁵⁶ თურქეთის ლაზისტანში მოგზაურობიდან, გვერდი 608.
⁵⁷ Кавказский календарь на 1867 год. Изд. по распоряжению Наместника на Кавказа. Стр. 404, Тифлис, 1866.
⁵⁸ Сборник материалов для описания местностей и писмен Кавказа, выпуск пятый, изд. Упр. Кавказ. Учеб. Округа, стр. 41. Тифлис, 1886 г.
⁵⁹ Кавказский календарь на 1867 г. Стр. 404, Тифлис, 1866.
⁶⁰ Кавказско-Турецкий район. Сост. Ген. шт. подп. Андриевский, стр. 135, Тифлис, 1908.
⁶¹ Казбек Г. Н. Три месяца в Турецкой Грузии, стр. 124, Тифлис, 1875.

სახელწოდება შესცვალეს „სამსუნი“ ქალაქ სამსუნის სახელის მიხედვით.

ამავე დროს თურქები ცდილობდნენ გაეკლიერებინათ შუღლი ჩერქეზებსა და ლაზებს შორის, ლაზებსა და ქურთებს შორის, ლაზებსა და სომხებს შორის, ლაზებსა და ბერძნებს შორის. ლაზური რაიონების გასათურქებლად ლოსანის ხელშეკრულებით ბლკანეთის ნახევარკუნძულოდან რეპარტირებული მრავალი თურქი ტრაპიზონში გადაასახლეს⁶². 1934 წელს, ლაზების განმათავისუფლებელი მოძრაობის შიშით, თურქებმა ლაზები თურქეთის შიდა რაიონებში გადაასახლეს. მშობლიური ადგილებიდან შიდა თურქეთში ქართველ ტომთა მასობრივი გადასახლება მოხდა მეორე მსოფლიო ომის დროს, როცა თურქეთს ჩვენს ტერიტორიებზე ეჭვრა თვალთ.

ძალიან ძნელია თურქთა ბატონობის ქვეშ მცხოვრებ ქართველთა რიცხვის ზუსტად განსაზღვრა. სატუნინი თავის „Очерки природы Кавказа“-ში (VIII - По черноморскому побережью, 1911 г.) ლაზთა საერთო რიცხვს განსაზღვრავს 160 ათასი კაცით; ყაზბეგი თავის ნაშრომში „Три месяца в турецкой Грузии“ - 100 ათასიდან 180 ათასამდე კაცით; დიოხენი ნაშრომში „Берег прусского Лазистана“ - 66 ათასი კაცით; 1867 წლის „Кавказский календарь“-ი - 72 ათასი კაცით. პ. შუბინსკი 1911 წელს აღნიშნავდა, რომ ტრაპიზონში ლაზების წილად ორი მესამედი მოსახლეობა მიდიოდა⁶³.

თურქეთის სტატისტიკა 1914 წელს 180 ათასი კაცით განსაზღვრავდა ლაზების რიცხვს, ვ. აბოლტინი - 200 ათასი კაცით. ამავე ციფრს იძლეოდა თურქეთის 1927 წლის აღწერის წინასწარი მასალებიც. დ. ი. კორვინეველენიცკიმ თურქეთში ქართველთა რიცხვი 700 ათასი კაცით განსაზღვრა. მ. ვ. ფრუნზე თავის ნაშრომში „Поездка в Ангорю“ ლაზების რიცხვს ნახევარი მილიონი კაცით განსაზღვრავს⁶⁴.

ვ. ჯიფორდ პალგრევის მასალებისა და მეფის დროის ოფიციალური სტატისტიკის საფუძველზე მოსახლეობის საშუალო მატრების ვათვალისწინებით, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, ჩვენ მოვახდინეთ თურქეთში ქართველი მოსახლეობის რიცხვის მიახლოვებით გამოანგარიშება. ამ გამოანგარიშების მიხედვით, მიუხედავად ქართული რაიონების სახტკი ვათურქებისა და გადასახლებისა, 1940 წელს მაინც დაახლოებით სულ ცოტა 500-600 ათასი კაცი მიდიოდა ქართველ მოსახლეობაზე, მათ შორის ლაზებზე - 290 ათასი კაცი. ამრიგად, თურქეთში ქართული მოსახლეობის შესახებ ყველაზე სარწმუნო ციფრი მოცემული აქვთ ფრუნზესა და ველენიცკის.

როგორც სწორად აღნიშნავს კენტრებუერის ტაძრის მოძღვარი დოქტორი პიულეტ ჯონსონი, ქმედისტები ეროვნული რაიონების ეკონომიურ განვითარებას „განზრახ აბრკოლებდნენ“⁶⁵. ეს იმით იყო გამოწვეული, რომ ქმედისტებს ეშინოდათ სოციალური ძალების განვითარებისა იმ რაიონებში, რომლებს თურქეთის ხელში ყოფნის ისტორიული უსამართლობა აშკარა იყო. საქმარისია აღინიშნოს, რომ თურქეთში სახელმწიფო სახსრებით ამუშავდა მრავალი სამრეწველო საწარმო, რის შედეგადაც ფაბრიკა-ქარხნების მოწყობილობის ღირებულება 1936-დან 1941 წლამდე 65 პროცენტით გადიდა, შენობების ღირებულება - 70 პროცენტით, სამუშაო კაცდღეუთა რაოდენობა - 90 პროცენტით და ძრავების სიმძლავრე - 142 პროცენტით⁶⁶. ამავე ხნის განმავლობაში თურქეთის ნაციონალურ რაიონებში აგებულ იქნა მხოლოდ ერთი ფაბრიკა... რძის ფხენილისა ყარში.

ეკონომიური განვითარების განზრახ შეფერხების იმავე პოლიტიკას ახორციელებდნენ სოფლის მეურნეობის დარგშიც. მაშინ როცა თურქეთის დასავლეთ და ცენტრალურ ნაწილში, მართალია ნელა, მაგრამ მაინც ვითარდებოდა კაპიტალისტური ურთიერთობა, ნაციონალური რაიონები, რომლებშიც ფეოდალური ნაშთები მეტად ძლიერი იყო, საშინელი დეგრადაციის მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ამ მხრივ დიდი როლი შეასრულა იმან, რომ მკვიდრნი გადაასახლეს და შესცვალეს მოსული ელემენტებით, რომლებსაც სოფლის მეურნეობის წარმოების ნივეები არა ჰქონდათ და კულტურული განვითარების მხრივ უფრო დაბალ საფეხურზე იდგნენ.

⁶² Страны Ближнего и Среднего Востока. стр. 28. ОГИЗ, 1944.
⁶³ Шубинский П. Гробница имперетинского царя Соломона в Трапезунде. Истор. Вестник, стр. 278, 1913.
⁶⁴ Фрунзе М. В. Собр. соч., т. I, стр. 278. М. Л. 1929.
⁶⁵ საქეხი. 28. VI. 1945 წ.
⁶⁶ İstatistik yıllığı, 1942-43, vol 14, pp. 201, 202, Ankara, 1944.

თურქეთის სტატისტიკის ოფიციალური ცნობები ერთგვარ წარმოდგენას იძლევიან იმ საშინელ დეგრადაციაზე. მაგალითად, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გამოსავალი თურქეთის ნაციონალურ რაიონებში 1939-დან 1942 წლამდე 61,4 პროცენტით შემცირდა.⁶⁷ კერძოდ ჭოროხის ვილაიეთში (რომელიც მოიცავს ართვინის ოლქს და ბათუმის ოლქის სამხრეთ სექტორს) 76.813 ტონიდან 7.293 ტონამდე (9-ჯერ), გოშიოუშხანეში – 180.058 ტონიდან 88.359 ტონამდე, რიხეში – 40.683 ტონიდან 22.862 ტონამდე, ტრაპიზონში – 67.947 ტონიდან 31.885 ტონამდე⁶⁸). ცნობილი ტრაპიზონელი თამბაქოს მოსავალიც კი 3,7 ათასი ტონიდან 2,8 ათას ტონამდე შემცირდა პირუტყვის რაოდენობა ნაციონალურ რაიონებში 21 პროცენტით შემცირდა და სხვ.⁶⁹). ეკონომიურად ნაციონალური რაიონები ქემალისტებმა ნახევარი საუკუნით დასწევს უკან.

ქვემოთ მოგვყავს შედარებითი ცნობები თურქეთის ხელში გადასული რაიონების ეკონომიური და კულტურული მდგომარეობის შესახებ ქემალისტებისა და ცარიზმის დროს. ამასთან ქემალისტების პერიოდისათვის ციფრები აღებული გვაქვს ქემალისტური ოფიციალური სტატისტიკად „I statistiq yilliqi, 1942-43, vo 14, Ankara. 1944“, ხოლო ცარიზმის დროის პერიოდისათვის ამიერკავკასიის სტატისტიკური კომიტეტის მასალებიდან და მეფის გუბერნატორთა უქვეშევრდომილესი ანგარიშებიდან. ამ მასალების საფუძველზე უნდა გამოვიტანოთ შემდეგი დასკვნები:

1. მოსახლეობის რიცხვი 1940 წელს (ე. ი. ქემალისტების დროს) ნაკლები იყო, ვიდრე 1915 წელს (ე. ი. ცარიზმის დროს).
2. ნათესი ფართობი 1927 წელს ნაკლები იყო, ვიდრე 1885 წელს.
3. სასოფლო-სამეურნეო მიწების რიცხვი 1940 წელს მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა 1911 წლისას.
4. საშუალო მოსავლიანობა ნაკლები იყო, ვიდრე გასული საუკუნის ოთხმოცდაათიან წლებში.
5. ხორბლის, ქერის, ოსპის და სხვა კულტურების მოსავალი 1942 წელს 1896 წლის დონეზე ნაკლები იყო.
6. თამბაქოს მოსავალი ართვინის ოლქში 1930 წელს 1902 წლის მოსავალს უდრიდა.
7. სამრეწველო წარმოება და მუშათა რიცხვი 1930 წელს უფრო ნაკლები იყო, ვიდრე 1898 წელს.
8. გზატკეცილები 1939 წლამდე ძირითადად ცარიზმის დროისა დარჩა.
9. წერტილების მცოდნეთა პროცენტი 1931-32 წელს ნაკლები იყო, ვიდრე 1897 წელს და მხოლოდ 1935 წელს გაუთანასწორდა ამ უკანასკნელს.
10. ექიმთა რაოდენობა ნაკლები იყო, ვიდრე 1885 წელს და სხვა და სხვა.

თურქეთის ნაციონალურ რაიონებში ჯანმრთელობის დაცვის საქმის დაყენების თაობაზე გაზეთი „Kars“-ი სწერდა:

„ბევრ სოფელში გლეხები ჯერ კიდევ ექიმბაშებთან მკურნალობენ ავადმყოფებს. ექიმბაშები ხმარობენ მკურნალობის პრიმიტიულ, აშკარა მკენე მეთოდებს – ეს წარსულის ცრუმორწმუნეობის ნაშთია. ხოლო თუ იმის შესაძლებლობა არა აქვთ, რომ ექიმს მიმართონ, უნდა მიმართონ სამხედრო სამსახურიდან დაბრუნებულთ, რომლებსაც ცოტა რამ მაინც გაეგებათ პირველი სამედიცინო დახმარების აღმოჩენის საქმეში“⁷⁰).

საინტერესოა შევადაროთ ეს ცნობები, რომლებიც თურქეთის ნაციონალურ რაიონებს შეეხება, ცნობებს, რომლებიც შეეხება მთელ თურქეთს, რათა მივხედეთ ნაციონალურ რაიონებში წარმოებულ ჩავების თურქულ პოლიტიკას:

პროფესია	თურქეთის მასშტაბით (პროცენტობით) ⁷¹	ნაციონალურ რაიონებში (პროცენტობით)
----------	---	---------------------------------------

⁶⁷ გამოანგარიშებულია ჩვენ მიერ 1942-43 წლის „I statistiq yilliqi“-ის მასალების საფუძველზე, vol 14, pp. 144-155. Ankara. 1944.

⁶⁸ Ibid., 144-155.

⁶⁹ Ibid., 176-181.

⁷⁰ „Kars“, 20. VI. 1633.

⁷¹ I statistiq yilliqi, 1942-43, p. 51. Ankara, 1844.

მრეწველობაში მომუშავენი	4,1	1,05
ტრანსპორტზე და კავშირგაბმულობის ორგანიზაციებში მომუშავენი	0,8	0,06
თავისუფალი პროფესიების პირები და მოხელეები	2,5	0,7

